



ინფორმაცია

საქართველო ქართველების, აფხაზეთისა და ოსების საერთო სამოქმედო



„ბაერტიანეაშვილი დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლებამ აფხაზეთს უთხრა, რომ აფხაზეთი მათი სამშობლო არ არის.

„მქონდა მცირე იმედი, რომ რაღაცას ახალს მაინც იტყოდა ეს ხელისუფლება, თუმცა, ლოგიკა მკარნახობდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა, იმდენად არაკომპეტენტურები არიან. ნაცვლად იმისა, რომ რამე ახალი მოგვემინა, 20-30 წლის წინანდელი ტერმინოლოგიით საუბარი მოვისმინეთ. საქართველო ქართველების, აფხაზეთისა და ოსების საერთო სამშობლოა. მხოლოდ ამ პოზიციიდან შეგვიძლია, აფხაზეთსა და ოსებს ველაპარაკოთ. მხოლოდ მათთან ნდობის აღდგენით შეიძლება მივალდეთ გარღვევას იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარებაში, რასაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი, აფხაზეთთან და ოსებთან ნდობის აღდგენის გზაზე გადის“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოებას ახლანდელი ხელისუფლებისგან 2 წელია, არც ერთი სერიოზული წინადადება არ მოუსმენია აფხაზეთისა და ოსებისთვის ავტონომიის შეთავაზების შესახებ. ამას კი, მისივე განცხადებით, სჯობდა საქართველოს ხელისუფლებას მათთვის საერთოდ არაფერი შეთავაზებინა.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის შეფასებით, ასეთი შეთავაზების მიზეზი არაკომპეტენტურობა და პოლიტიკური ნების არარსებობაა.

სამოქმედო რეკომენდაციები პარტიის კოალიციის დარჩენა მოვლენების განვითარებაზე დამოკიდებული

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, დარჩება თუ არა „რესპუბლიკური პარტია“ სამომავლოდ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ეს მოვლენების განვითარებაზე დამოკიდებულია. რაც შეეხება „რესპუბლიკური პარტიის“ განცხადებას, რომელიც „რესპუბლიკელები“ კოლეგებს კოალიციის გაძლიერების ორ გზას სთავაზობენ, ხმალაძის თქმით, არსებობს „რაღაც პრობლემები“, რომლებსაც გადაწყვეტა სჭირდება.



„რესპუბლიკური პარტია“ კოალიცია „ქართული ოცნების“ ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პარტიისთვის ორ შესაძლო გზას სთავაზობს.

პარტიის განმარტებით, ორი გზიდან პირველი არსებული სპეციფიკური (წინა ხელისუფლების მოშორებაზე ორიენტირებული) კოალიციის კლასიკური ევროპული ტიპის ისეთ კოალიციად გადაქცევა გულისხმობს, რომელიც საფუძვლად დაედება კოალიციური შეთანხმება პასუხისმგებლობის სრულყოფილად გადანაწილებითა და დეკლარირებული და პრაქტიკული ერთიანობით საერთო პოლიტიკურ პლატფორმაზე, მეორე კი ისეთ კოალიციად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რომელიც მასში შემავალი პარტიების საკუთარი იდეოლოგიის შესაბამისად პოზიციონირებისა და განსხვავებული პოზიციების დაფიქსირების თავისუფლებას უზრუნველყოფს კოალიციაში მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში.

სახალხო დამცველი განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართავს



შპს ნანუაშვილი მოუწოდებს განათლების სამინისტროს, შეისწავლოს რამდენად მართლზომიერი და მიზანშეწონილია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ, მოსწავლის კონსულტირების პროცესის აუდიო-ვიდეოგადაღება და მიღებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დამუშავება, შენახვა და შემდგომი გამოყენება.

მათივე ინფორმაციით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც ფსიქოლოგიურ მომსახურებას უწევს 6-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს, აღნიშნული მომსახურების განხორციელებას ვიდეოკამერით აღჭურვილ ოთახში გეგმავს, რაც არასრულწლოვანთან ფსიქოლოგის შეხვედრების ვიდეოფორმად გადაღების, შენახვისა და მიღებული ინფორმაციის შემდგომი დამუშავების საფუძველი გახდება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ მოსწავლეებთან განსახორციელებელი სამუშაო პროცესის აუდიო-ვიდეოჩანწერა წარმოადგენს არასრულწლოვანის პირადი სივრცით დაცულ სფეროში არამართლზომიერ და დაუსაბუთებელ ჩარევას, რაც ქმნის სახელმწიფოს მიმართ მოქმედი ნეგატიური ვალდებულების დარღვევის საფრთხეს.

მთავარი თემა

მომხმედი ხელისუფლების პირობებში მონვეულ რიგით მეორე უშიშროების სხდომას პრემიერ-მინისტრი დაესწრო. აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხზე სამსჯელოდ საბჭო პრეზიდენტის ავღაბრის სასახლის ადმინისტრაციულ შენობაში შეიკრიბა და მას ქვეყნისა და მთავრობის მეთაურების გარდა, უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები და მონვეული სტუმრებიც შეუერთდნენ.

მრგვალი მაგიდის გარშემო შემომსდარ 9-წევრს შორის იყვნენ: უშიშროების საბჭოს მდივანი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში და შერეგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში. საკანონმდებლო ორგანოს კი დეპუტატები – ირაკლი სესიაშვილი, თედო ჯაფარიძე და ვიქტორ დოლიძე წარმოადგენდნენ.

ავღაბრის სასახლეში სტუმრად მისულ ირაკლი ლარიბაშვილს მასპინძელი მარგველაშვილი ეზოში მიეგება და თბილად მიესალმა. „სტუმარ-მასპინძლის“ შეხვედრის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეხვედრის დასრულებამდე გამოაქვეყნა, რომელიც სააგენტოებსა და სოციალურ ქსელებში ასევე ოპერატიულად გავრცელდა. შეხვედრა დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში გაგრძელდა. სხდომის დასრულების შემდეგ პრეზიდენტმა და პრემიერმა მედიასთან კომენტარი ერთობლივად გააკეთეს.

ჩვენი შეხვედრით ძალიან მტკივნეულ და ურთულეს თემაზე, რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთსა და ოსეთში ცხოვრობენ. განხილვის თემა იყო ის, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ურთულეს ვითარებას, რომელიც შექმნილია აფხაზეთთან დასაბრუნებელ ხელშეკრულებასთან მიმართებაში. განვიხილეთ მიმდინარე ქმედებები, გავეანალიზეთ ვითარება, ის, თუ რას ვაკეთებთ ამ ეტაპზე და მომავალში რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა, ასევე განვიხილეთ ნაბიჯები, რასაც კოორდირებულად გადავდგამს მთავრობა, პრეზიდენტი და პარლამენტი, – თქვა ურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა. პრემიერ-მინისტრმა კი საუბრისას ყურადღება ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის არსებულ თანხმობაზე გაამახვილა და განმარტა, რომ მოქმედ ხელისუფლებაში შეუთანხმებელი საკითხები არ არსებობს.

კარგი საუბარი გამოგვივიდა, კარგი მსჯელობა გვქონდა. ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ კოორდინირებულად ვავარძლებთ მუშაობას. დღეს გამოვანჩით, რომ ნამდვილად შეგვიძლია ერთად მუშაობა და დღეს ამის ნათელი დემონსტრირება მოხდა. არ არსებობს საკითხი, რომელზეც ჩვენ ვერ ვთანხმდებით. რა თქმა უნდა, ეს ის საკითხია, რომელზეც პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი – ყველანი ვართ ერთსულოვანი და ვიქნებით ასე, – განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომას, თუ საჭირო იქნება, მომავალშიც დაესწრება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მიაი ფანჯიკიძის განმარტებით, შეხვედრაზე მთავარი საკითხი – აფხაზეთისთვის რუსეთის მიერ შეთავაზებული ე.წ. მოკავშირეობის დოკუმენტის გარდა, საუბარი შეეხო აფხაზეთისა და ოსებისადმი პრემიერ-მინისტრის შეთავაზებასაც. – პრემიერის შეთავაზებაზე იყო მსჯელობა, ასევე საუბარი გაიმართა ძალიან ბევრ საინტერესო იდეაზე. ჩვენ ამ საკითხებზე მსჯელობას გავავარძლებთ და ისევე შევხვდებით, – განაცხადა

უბარი შეეხო აფხაზეთისა და ოსებისადმი პრემიერ-მინისტრის შეთავაზებასაც.

– პრემიერის შეთავაზებაზე იყო მსჯელობა, ასევე საუბარი გაიმართა ძალიან ბევრ საინტერესო იდეაზე. ჩვენ ამ საკითხებზე მსჯელობას გავავარძლებთ და ისევე შევხვდებით, – განაცხადა



ეპროკული ავტონომია სულ სხვა პერსპექტივა!

სახელისუფლებო კონსენსუსი – ავღაბრის სასახლეში აფხაზეთის თემაზე იმსჯელეს

ქვეყნის პირველმა დიპლომატმა და განმარტა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ანექსიის მცდელობაზე ყოველთვის სათანადო რეაქცია ექნება, პრემიერის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული წინადადება კი აფხაზეთის თანამოქალაქეებისთვის საქართველოში მოსალოდნელი სიკეთეების ერთგვარი გაზიარებაა.

– ეს არ არის ახალი და უცბად მოფიქრებული იდეა, ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ ორი წელი და მუდმივად ვუზღავით აფხაზეთსა და ოსებს გაზვიანდეს, რომ ჩვენ გვინდა ერთად ცხოვრება, გვინდა, მათ ჰქონდეთ განვითარების ისეთივე საშუალება, როგორც გვაქვს ჩვენ. გვინდა, რომ მათი ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც საქართველო ელის მომავალი წლების განმავლობაში ევროპაში ინტეგრაციის გზით, – ავღაბრის სასახლეში განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა. პრემიერის მიერ შეთავაზებული ავტონომიის საკითხს ერთგვარად აკონკრეტებს შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. მისი განმარტებით, ლარიბაშვილი 27 ოქტომბერს, საკუთარი ანგარიშის დროს ევროპული კონტექსტისა და პერსპექტივების ავტონომიაზე საუბრობდა.

ჩვენი დღეს კონსტიტუციაში გვინერია „ავტონომიური რესპუბლიკა“, რაც, თავისთავად უცნაურია, იმიტომ რომ, 1995 წელს, როდესაც კონსტიტუცია მივიღეთ, აფხაზეთი უკვე ცალკე იყო – სახელწოდება „აფხაზეთი“ უკვე ყოველგვარი ავტონომიის გარეშე იყო. 2006-2007 წელს სააკაშვილის ხელისუფლების დროს შეიქმნა კონსტიტუცია და ჩაინერა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვემორჩილოდეთ კონსტიტუციას და ამ ტერმინებით ვისაუბროთ. ამიტომ, პრემიერმა თქვა, რომ იყო ავტონომია და იქნება ევროპული ავტონომია, ანუ ევროპული ხედვებით, კონტექსტით, ფორმატით, როგორც ეკადრება და ღირსია ევროპული სახელმწიფო. „ავტონომია“ ფართო ცნებაა და ევროპაში ავტონომიის

უამრავი ფორმა არსებობს. შესაბამისად, ჩვენ არ ვსაუბრობთ ამ წუთში რომელიმე ფორმაზე, პრემიერის მთავარი მესიჯი არის ის, რომ ერთად დავილაპარაკოთ, რა ფორმაზე შეიძლება იყოს საუბარი. ოღონდ, ეს უნდა იყოს ევროპული კონტექსტიდან გამომდინარე და არა იმ ფორმით, რაც უკ-

ვე იყო, ან – ქალაღზე გვიწერია, – აცხადებს ზაქარეიშვილი. პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი უშიშროების საბჭოს ფორმატში გამართულ შეხვედრას პროდუქტიულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლება პირველივე დღიდან მუშაობს, რომ მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდირება და მზაკრული გეგმის ჩაშლა, რაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

– მთავარია ის, რომ, ჩვენი დები და ძმები ძალიან კარგად ხედავენ ერთ რამეს – მათი ე.წ. დამოუკიდებლობა არის ფარსი და რეალურად რუსეთს სურს, აფხაზეთი გადაქციოს გარკვეულ პროვინციად. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავიცავთ ჩვენს აფხაზეთს თანამოქალაქეებს და მაქსიმალურად შევთავაზებთ ყველა იმ სიკეთეს, რითაც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში, – აცხადებს სესიაშვილი და აღნიშნავს, რომ აფხაზეთის შემდეგ მსგავსი ტიპის გართულებები ცხინვალშიც არის მოსალოდნელი.

უშიშროების საბჭოს სხდომის უშუალო შედეგი სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებებია, კერძოდ, საერთაშორისო ფორმატში აფხაზეთის საკითხის დასმა და ამ თემის ირგვლივ საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურება.

რაც შეეხება აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკისთვის რუსეთის მიერ შეთავაზებულ ე.წ. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ხელშეკრულებას, თავდაპირველი გეგმის თანახმად, დეფაქტო პარლამენტს 27 ოქტომბერს უნდა დაემტკიცებინა, თუმცა, დოკუმენტის მიღება გადაიდო.

კრემლის მიერ მომზადებული, 25 მუხლისგან შემდგარი პროექტი აფხაზეთის სამართალდამცავი, საბაჟო და საგადასახადო სისტემების რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით მონყოფას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, რუსეთი იღებს სამხედრო ვალდებულებას, რომ აფხაზეთზე თავდასხმა იქნება რუსეთის თავდასხმა და თავდა აფხაზეთის ჯარი კი სტრუქტურულად, ინფრასტრუქტურულად და სამართლებრივად რუსული სისტემით მოეწყობა.

გადასახადო სისტემების რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით მონყოფას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად, რუსეთი იღებს სამხედრო ვალდებულებას, რომ აფხაზეთზე თავდასხმა იქნება რუსეთის თავდასხმა და თავდა აფხაზეთის ჯარი კი სტრუქტურულად, ინფრასტრუქტურულად და სამართლებრივად რუსული სისტემით მოეწყობა.

გადასახადო სისტემების რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით მონყოფას ითვალისწინებს.

– ბატონო ლევან, მოსკოვის მიერ სოსუმის-თვის შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტმა „რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ სოსუმში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ახლად არჩეულ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას არჩევებიდან ორი თვის თავზე სერიოზული პრობლემები შეუქმნა. იგი იძულებული გახდა, თავად გაეკეთებინა განცხადება, რომ აფხაზეთისთვის მოსკოვის შეთავაზება მიუღებელია. უკვე ცნობილია, რომ მოსკოვი და სოსუმი შეთანხმების ტექსტზე მუშაობას ერთობლივად გააგრძელებენ, მაგრამ ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ შეთანხმება ადრე თუ გვიან მაინც გაფორმდება და რუსეთი რეალურად დაინერგოს აფხაზეთის ანექსიის პროცესს. თქვენი შეფასებით, როგორია აფხაზეთისთვის რუსული შეთავაზების პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები?

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების პროექტი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო. სხვადასხვა საკითხზე იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ამ ხელშეკრულების პროექტი მათთვის რომ სიურპრიზი აღმოჩნდა, ფაქტია. ამიტომაც იყო, რომ ამან აფხაზეთში გამოიწვია გარკვეული პროცესები, რომელთაც, ჩემი რწმენით, რუსეთი არ ელოდა. რუსეთმა იმდენხანს ითამაშა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, სუვერენობაზე, რომ აფხაზეთმა მართლა დაიჯერეს, თითქოს რუსეთი, ასე თუ ისე, დაიცავდა მათ ამ ძირითად ფასეულობებს. პრაქტიკულად კი გამოვიდა, რომ რუსეთმა ბუნებრივად ეს დებულებები სანაგვე ყუთში გადააგდო.

ნარმოდგენილი ხელშეკრულების პრეამბულაში ნახსენები არ არის აფხაზი ხალხის „თვითგამორკვევის უფლება“. დარწმუნებული ვარ, ეს შემთხვევით არ მომხდარა. თვითგამორკვევა ითვალისწინებს გარკვეულ სტატუსს და გარკვეულ უფლებებს, რომელიც არავისზე არ არის დამოკიდებული. პრეამბულიდან ტერმინ თვითგამორკვევის ამოღება ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების პროექტი ამ უფლებებს პრაქტიკულად აუქმებს.

რუსეთის მიერ სოსუმისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების პროექტში ერთ-ერთი მთავარი სწორედ თვითგამორკვევა უნდა ყოფილიყო – თუკი მათთან რუსეთი ამ პოზიციებიდან აპირებდა საუბარს. სამწუხაროა, რომ ჩვენთან იმას, რომ პრეამბულაში თვითგამორკვევაზე საერთოდ არაა საუბარი, ყურადღება არავინ მიაქცია. საუბარია აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვაზე, მაგრამ საუბარი არაა, რას ეყრდნობა და ეფუძნება აფხაზეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ამაზე პროექტში არაფერია ნათქვამი.

ხელშეკრულების პროექტში ყურადღებას იქცევს ორი ძირითადი ასპექტი. პრაქტიკულად, იგი არის რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული დამორჩილების დოკუმენტი. ეს გაკეთდება სასაზღვრო და საბაჟო სფეროებზე რუსეთის სრული კონტროლის განხორციელებით. ძალიან კონკრეტულად არის საუბარი იმაზე, რომ აფხაზეთში იქმნება სამხედრო დაჯგუფება, რომელიც გაერთიანდება აფხაზური ქვედადაყოფები. შეთანხმება ითვალისწინებს კრიზისულ სიტუაციაში აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ნაწილების მოსკოვის მიერ მართვას.

აფხაზეთის უკმაყოფილებას იწვევს საზღვაო საზღვარზე რუსული კონტროლის გაძლიერება. საუბარია იმაზე, რომ აფხაზეთი რუსეთისგან დამოუკიდებლად ეკონომიკურ პოლიტიკასაც ვერ გაატარებს. რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი ფსოუდან გადმოდის მდინარე ენგურზე. ხელშეკრულება არანაირ შანსს არ უტოვებს აფხაზეთს, რომ რუსეთის პარტნიორად იგრძნოს თავი. ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთი ინტეგრაციის გზით მოახდენს აფხაზეთის ანექსიას.

აფხაზეთისთვის ასევე საფრთხის შემცველია ენ. სოციალური ბლოკი – ჯანდაცვა და განათლება. პრაქტიკულად, რუსეთის სახელმწიფო აფხაზეთში იცავს აფხაზეთში მუდმივად მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს. საგანმანათლებლო სისტემა, საბავშვო ბაღები და დაწყებული უმაღლესი დამთავრებული, უნდა დაექვემდებაროს და იყოს შესაბამისობაში რუსეთის საგანმანათლებლო სისტემასთან. საგანმანათლებლო პროგრამებიც კი შეთანხმებული უნდა იყოს რუსეთის განათლების სამინისტროსთან. ჩვენ აფხაზური ენის განვითარებას და აფხაზურ ენაზე სწავლებას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით. ეს და სხვა საკითხები, კერძოდ, კულტურის, თეატრის თუ ტელევიზიის განვითარება სრულად იყო სოსუმის პერეოგატივა. საქართველოს ხელისუფლება კი მათ ამაში მხოლოდ ეხმარებოდა. ჩვენ არც მაშინ არ ჩაგრეულვართ, როცა აფხაზური ტელევიზიით ანტიქართული პროპა-

**ლევან ალექსიძე:**  
**აფხაზებს წლების განმავლობაში ბევრად მეტს ვთავაზობდით, ვიდრე მოსკოვი სოსუმს სთავაზობს**

**აფხაზეთთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება პროფესორი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე.**



განდაც კი ისმოდა, ახლა კი ხელშეკრულების პროექტი აშკარად ლახავს აფხაზების ინდენტობის დაცვას და აზრის გამოხატვის უფლებებს.

ჩემთვის აფხაზეთის თვითგამორკვევაზე საუბარი პრინციპში მიუღებელია, რადგან აფხაზური საზოგადოება დღეს ქართველების უბედურებაზეა აშენებული, რაც ძირძველი მოსახლეობის მიმართ უღმობიური ეთნიკური წმენდის შედეგია, რაც ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის დაგმობილი. ასეთივე ვითარება გვაქვს ცხინვალის რეგიონშიც, სადაც ქართულ მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია გადანაცვლების მიღებაში, არ შეიძლება არსებობდეს „ხალხის ნება“. ასეთ ვითარებაში თვითგამორკვევაზე საუბარი გაუგებარია. აფხაზეთშიც და ენ. სამხრეთ ოსეთშიც არის ეთნიკური უმცირესობების მიერ დამყარებული მონოეთნიკური რეჟიმების ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ მათ ნებას გამოხატავს. ამგვარი ვითარება მიუღებელია თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის. ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას არც აფხაზეთში და არც ენ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული არც ერთი არჩევნები ან რეფერენდუმი არ უღიარებია.

ხელშეკრულება პრაქტიკულად არის საფლავის ქვა არა მარტო აფხაზეთის სუვერენიტეტზე, არამედ საერთოდ თვითგანვითარებაზე. რუსეთი აფხაზეთისთვის მეგობარი კი არა, მტერია, რომელიც მათ ეთნიკურ ინდენტობას სრული გაქრობით ემუქრება. ის, რასაც მოსკოვი სოსუმს სთავაზობს, ბევრად ნაკლებია იმაზე, რასაც ჩვენ აფხაზებს წლების მანძილზე ვთავაზობდით.

– აფხაზური საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა მოსკოვის წინადადებაზე დაკავშირებით თავისი პოზიციები შეიმუშავა და ხელისუფლებას წარუდგინა. ვიდრე რუსულ-აფხაზური შეთანხმების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აფხაზეთი დე ფაქტო ხელისუფლების მიდგომები საჯარო არ გახდება, ძნელია საუბარი, საბოლოოდ რა სახეს მიიღებს შეთანხმება. მაგრამ, ვინაიდან კრემლის წინადადებაზე აფხაზური საზოგადოების ძირითადი პოზიციები ცნობილია, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორია აფხაზური პოზიციების პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები?

– ჩემთვის აშკარაა, რომ სამართლებრივად, ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ეხმარება, პრაქტიკულად არის რუსეთის მიერ აფხაზეთის დაქვემდებარების ხელშეკრულების პროექტი. და ეს მაშინ, როცა აფხაზები ამყოფდნენ იმით, რომ რუსეთს აფხაზეთთან 80-მდე ხელშეკრულება აქვს

გაფორმებული. ახლა კი მას აფხაზეთის მიერთება იურიდიულად საბოლოოდ უნდა.

სხვათა შორის, იგივე მოხდა, როცა ბოლშევიკების ნითელი არმია შემოვიდა საქართველოში. ნითელმა არმიამ დაამხო საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება და საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას თავს მოახვია ხელშეკრულება. ბოლშევიკური რუსეთი საქართველოსთვის შეთავაზებული ხელშეკრულებით გაცილებით მეტ უფლებებს უტოვებდა იმდროინდელ კომუნისტურ რეჟიმს, ვიდრე ის ხელშეკრულება, რომელიც ახლა მოსკოვმა სოსუმს შესთავაზა. საქართველოში შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი, მაგრამ ნაწილობრივ ნარჩუნდებოდა საქართველოს სუვერენიტეტი, რომელიც დასავლეთის მრავალი ქვეყნის და იგივე რუსეთის მიერ იყო აღიარებული. კომისიას, რომელიც ამ საკითხებზე 1989 წელს მუშაობდა, მე შევთავაზე ტერმინი – „სამხედრო ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია“. რატომ ფაქტობრივი? ფორმალურად, საქართველო იყო სუვერენული, ვიდრე საბჭოთა კავშირში შეიცვალა. შეთავაზებული ხელშეკრულებით აფხაზეთის სუვერენიტეტის პატივისცემაზეა ლაპარაკი, დამოუკიდებლობაზე, მაგრამ სინამდვილეში, იმაზე გაცილებით ნაკლები უფლებები ექნება, ვიდრე რესპუბლიკებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნენ შეყვანილი.

ამიტომაცაა, რომ მოსკოვის შეთავაზებამ აფხაზების პოლიტიკურ ისტებლიშმენტში გაღიზიანება გამოიწვია. ყველა მეტ-ნაკლებად ანგარიშგასანქვი აფხაზეთში უკმაყოფილებას გამოთქვამს და საუბრობს წარმოდგენილ ხელშეკრულებაში სერიოზული ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე. რა იქნება შედეგი, რამდენად შეძლებენ ისინი თავისი პოზიციების დაცვას, ძალიან საინტერესოა, ვინაიდან მასზე ბევრად იქნება დამოკიდებული ის, თუ რა ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბდეს საქართველოსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის.

– ვინაიდან უკვე ვიცით, რომ რა ბედიც არ უნდა ეწიოს ხელშეკრულების პროექტს „რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, რუსეთი და აფხაზეთი, დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მკვეთრად გაუარესების ფონზე, სამხედრო სფეროში აქტიურად ითანამშრომლებენ, ანუ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ,

თუ ახლა აფხაზეთში ერთი რუსული ბაზაა განლაგებული, სავარაუდოდ, მათი რიცხვი გაიზარდება. მეტიც, საზღვაო და საჰაერო სივრცეებზე რუსული კონტროლის დასამყარებლად აფხაზეთში, სავარაუდოდ, გაიზარდება რუსი მესაზღვრეებისა და მებრძოლების რაოდენობა და პრაქტიკულად რუსეთ-საქართველოს საზღვარი მდინარე ენგურზე გადაინაცვლებს. აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოსთვის რუსული საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზარდება. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ამ საფრთხემ რეალურად შეუქმნას საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრიობას?

– რა თქმა უნდა, ეს საქართველოს საფრთხეს უქმნის. ეს თანამშრომლობა არ იქნება. სამხედრო პოლიტიკის განმსაზღვრელი რუსეთი იქნება. რაც შეეხება საფრთხის გაზრდის ალბათობას, რა საფრთხეც იყო აქამდე, იგივე დარჩება. ალბათ, გაიზარდება აფხაზეთში რუსული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა. ეს, პირველ რიგში, აფხაზეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული და მისი მიზანი იქნება აფხაზების რუსიფიკაცია და აფხაზური ეთნოსის, რაც შეიძლება მოკლე ვადებში ასიმილაცია.

ჩემი აზრით, აფხაზებს მაინცდამაინც არ უნდათ, რომ საქართველოსთან საზღვარი რუსეთის მიერ ხისტი იყოს დაცული. აფხაზები უკმაყოფილო არიან იმით, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი სერიოზულად ჩაიკეტა და მიმოსვლა გართულდა. ჩემი ინფორმაციით, აფხაზურ საზოგადოებაში საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული ძვრები არის მომხდარი.

გაოცებული ვარ პუტინის მიერ სოჭში გაკეთებული განცხადებებით. პუტინს შეუძლია, დღეს თქვას – „რუსეთი მე ვარ“. მან ეს პრაქტიკულად თქვა კიდევ და მსოფლიო გააფრთხილა, რომ მისი ყველას უნდა ეწინააღმდეგოს. მსგავსი რამ არც პიტ-ლერს და არც სტალინს არ უთქვამთ. ასეთ ვითარებაში ყველაფერია მოსალოდნელი. რუსეთი დღეს არაა კარგ მდგომარეობაში და არაა გამორიცხული მისგან ნებისმიერი ავანტიურა, ისეთიც კი, როგორც 2008 წლის აგვისტოში იყო. ბევრჯერ მითქვამს და ახლა გავიხსენებ – 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ქმედებებზე საქართველოს ხელისუფლების პასუხი იყო აბსოლუტურად კანონიერი. სწორედ ამგვარმა პასუხმა გადაარჩინა დედაქალაქი და დანარჩენი საქართველო ოკუპაციისაგან.

აფხაზეთში რუსეთის მოქმედება მესიჯია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ნატოსა და ევროკავშირისთვის. სტრატეგიულად აფხაზეთში რუსული ჯარის კონტინგენტის გაზრდა არაფერს არ ნიშნავს. თუ ომი დაიწყო, მასში ისეთი ტექნიკა იქნება ჩართული, რომ აფხაზეთში განლაგებული სამხედრო დაჯგუფება არაფრის გამკეთებელი არ იქნება.

საინტერესოა, რომ ხელშეკრულებაში, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რამდენჯერმეა ნახსენები ტერმინი „ამიერკავკასია“, „ამიერკავკასიის რეგიონი“. ჩვენ და დასავლეთმა ამ ტერმინზე კარგა ხნის წინათ ვთქვით უარი და ძირითადად ვიყენებთ ტერმინს „სამხრეთ კავკასია“. ვერ იშლის რუსეთი იმპერიულ ლექსიკას. „ამიერკავკასია“ არსებობს მათთვის, ვინც „ამიერკავკასიიდან იხედება“. ფაქტია, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების ქონებაში იმ თვალსაზრისით ხედავს აზრს, რომ შეგავლენა და საჭიროების შემთხვევაში ზენოლა მოახდინოს საქართველოზე. არ უნდა დაგვავინყუდეს, რომ რუსეთი კარგა ხანია, ოცნებობს, სახმელეთო საზღვარი ჰქონდეს სომხეთთან. სხვათა შორის, კრემლის ამგვარი გეგმები რუსმა პოლიტოლოგმა მიმდინარე წლის იანვარში ერევანში გამართულ კონფერენციაზე გაახმოვანა. ამიტომ, მთავრობამ ეს საფრთხე კარგად უნდა გააცნობიეროს. იგივე მიდგომა საჭიროებს აფხაზეთის გაჯლით რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

**იხ. 8 გვ.**

**კაკალ გულში**

**ნეხცილივანი თქაზები**

- ნელს საბრეზიდენტო არჩევნები რომ იყოს, ნეტა ოცნება ვის დაუჭერდა მხარს?
- რას ერთი კოდალაშვილს? ჯერ არ ჩამოუგდიათ, მაგრამ, რომ ჩამოაგდონ, მერ რას ვზერებთ?
- ერთხელ დენის გადასახადი მომივიდა, ეწერა: ჩართვის 2 ლარი ჩავედი თელასში, რა ჩართვის, გამოართული არ მქონია-მეთქი. ქალბატონო 2 დღის დაგვიანებით გაქვთ გადახდილი და რომ გამოგვეთიშა, ხომ უნდა ჩაგვერთო? იმდენი ვიცინე სიმწრისგან, კინაღამ მეორე 2 ლარიც გადავუხადე.
- მაიციადეო და ახლა გახდა კოტე გოგელია „ბუააააა“. აბა 2011 წლის 30 ნოემბერს რო ქართული მედიის გადამრჩენელის მანტიით შემოსეთ და ცხონებული ეროსი კიდევ ქართული მედიის მტრად. და კუბრში მომწარშავად?
- სასწრაფოდ ვქმნით, მთვლელების კომისიას საზოგადოების თავისუფალი და სანდო წევრებისაგან. მინიმუმ, 41 ადამიანია საჭირო. მეორე კლასის მათემატიკის ცოდნა და კარგი მხედველობა აუცილებელია
- 15 ნოემბერს გაგიგებთ რამდენი ცოცარია ქალაქში.
- ახლა ვუყურებდი და – არის ჩვენს პრეზიდენტში რაღაც ჩერჩილური...
- კონტლაგერ გამოვლილი ადამიანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის რომ ემტკიცებინათ, „მიმღერის დანაშაულზე ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს, იგი განათავისუფლებას იმსახურებს, იმას გავს ზამის მზარდამტყორების პროტუნი. მილიონწასწავარი ვართ, ვინსაც შეგვეხო ბაზუნას შექმნილი ღირსების საღეწი მანქანა. ერთი ლოთიანად ხელი მისვით რა, შემთხვევით შეგ ხო...

ამოკრება  
ბია გაბრიძიძე

◎ SIC!

# „მაესტრო“ - ქურნალისტების დეპარტი, კაზარაშვილი და ახალი ტელეკომპანიის შექმნის გეგმა



ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემის წამყვანი ქურნალისტები და ოპერატორები ტოვებენ. დიანა ტრაპაიძემ შესაბამისი გადაწყვეტილება უკვე დაადასტურა. სხვა ქურნალისტებს სამსახურიდან წასვლის თაობაზე ჯერ განცხადებები არ დაუწერიათ, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „მაესტროზე“ მუშაობას აღარ გააგრძელებენ თეონა გეგელია, მაკა ცინცაძე, სოფო ზურაბიანი, ნინო ჟიჟილაძე და რამდენიმე ოპერატორი. ცნობილი გახდა, რომ უკვე დაფუძნდა ახალი კომპანია შპს „ტელეკომპანია მაესტრო“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი ილია კიკაბიძეა, იგი მოქმედ ტელეკომპანიაშიც მუშაობს და ტექნიკურ მიმართულებას ხელმძღვანელობს.

„თავისუფლება არ არის საკმარისი პირობა მედია-ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ქურნალისტებს სჭირდებათ დაცვა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისგან, არამედ უნესო, უნიჭო, უცოდინარი და არაკომპეტენტური მმართველებისგანაც. ჩვენ გვინდოდა „მაესტროში“ მუშაობა. ძალიან ვწუხვარ, ძალიან“, - წერს გადაცემა „სუბიექტური აზრის“ ერთ-ერთი წამყვანი ქურნალისტი თეონა გეგელია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

გადაცემის პროდიუსერი ირაკლი აბსანძე აცხადებს, რომ არ იცის დეტალები, თუ რატომ გადაწყვიტეს ქურნალისტებმა ტელეკომპანია „მაესტროს“ დატოვება, თუმცა, იცის, რომ ქურნალისტმა დიანა ტრაპაიძემ წასვლის განცხადება ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელის მაკა ასათიანის მეუღლესთან კოტე გოგელიასთან შეხვედრის შემდეგ დაწერა.

For.ge-ს ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, „მაესტროზე“ მიმდინარე პროცესები ტელეარხის მფლობელის შეცვლას უკავშირდებოდეს.

კერძოდ, არის ინფორმაცია, რომ ოფი-

ციალურად, შესაძლოა, ჯერ არ არის გაფორმებული, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ მაკა ასათიანის ქმარი კოტე გოგელია „მაესტროს“ წილის მფლობელი აღარ იქნება. ტელეკომპანიის წილის გაყიდვასთან დაკავშირებით, გარიგება უკვე შედგა თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან და გოგელიას წილი, სწორედ, მან იყიდა.

„მაესტროში“ ვითარება, სავარაუდოდ, სწორედ, ამ პროცესის გამოაირია. დაახლოებით 10 დღის წინათ ტელეკომპანიიდან თანამშრომელთა ნაწილი დაითხოვეს. შემცირება შეეხო როგორც ქურნალისტებს, ისე ტექნიკურ პერსონალს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით კი, შპს „სტუდია მაესტროს“ ჯერ კიდევ 6 მფლობელი ჰყავს: მამუკა ლლონტი 15%-ს ფლობს, ლევან ჩიკვაძე - 15%-ს, ევასტერინე ეკობია 5%-ს, გიორგი ებრაღიძე - 15%-ს, გიორგი გაჩეჩილაძე - 25%-ს და ასევე 25%-ს ფლობს მაკა ასათიანი, რომლის მეუღლეც ბიზნესმენი კოტე გოგელიაა.

For.ge-ს ინფორმაციით, 11 დღის წინათ, 17 ოქტომბერს, ოფიციალურად შეიქმნა ახალი კომპანია შპს „ტელეკომპანია მაესტრო“, რომლის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი ილია კიკაბიძეა.

ილია კიკაბიძე „მაესტროს“ ქურნალისტების მიერ ტელეკომპანიის დატოვებაზე კომენტარს არ აკეთებს და განმარტავს, რომ მას ტელევიზიაში მხოლოდ ტექნიკური საკითხები ეხება.

ჩვენს კითხვაზე, რა მიზნით შექმნა 17 ოქტომბერს ახალი კომპანია „შპს „ტელეკომპანია მაესტრო“, კიკაბიძე განმარტავს, რომ, უბრალოდ, დავარეგისტრირე. შესაძლებელია, ახალი საკაბელო მაუწყებლობა გაგაკეთო. ჯერ დოკუმენტაციის დონეზე ვარ, ლიცენზირების საკითხებზე ვმუშაობ... რას ვრჩით კიკაბიძე, „უბრალოდ“ დაუარეგისტრირებია!

მადონა მაჭარაშვილი

◎ პოლიტიკის ტრიბუნა

# კოალიციის კალა კოალიციურობაში და რესპუბლიკელები ახას ყოველთვის ასწავლიავენ

გამრცხვლებული ინფორმაციით, კოალიციაში გადაჯგუფებები იწყება. „ქართული ოცნება“ ძლიერდება, თუმცა, ძლიერდება არა კოალიციის ხარჯზე, არამედ დამოუკიდებლად. დავით ბერძენიშვილის განცხადება, რომ რესპუბლიკელების წინააღმდეგ წერილებს სახელისუფლებო კულუარებიდანაც უკვეთავენ, ადასტურებს, რომ გადაჯგუფებები იწყება კოალიციაში? - ვკითხეთ პოლიტოლოგ რამაზ სანაძე.

— დათო ბერძენიშვილის განცხადება უპრეცედენტოა. ასეთი მკვეთრი განცხადება შიდა პარტიულ ურთიერთობებზე არ გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით ბიძინა ივანიშვილის განცხადებას მარაგველაშვილთან დაკავშირებით. მე არ გავიზიარებდი იმ აზრს, რომ მაინცდამაინც რესპუბლიკელების წინააღმდეგ მზადდება შეთქმულება, თუნდაც იმით, რომ მათ შიგნით უნდა აიხსნას ამ შეთქმულების აზრი. რაც შეეხება გადაჯგუფებას, ყველა პარტია და, მათ შორის, „ქართული ოცნება“ მხოლოდ რიცხვში ძალიან უსუსური იქნება.



— თქვენ თვლით, რომ ჯერ არ დამდგარა ის პერიოდი, როცა ეს პარტიები ცალ-ცალკე გაცელებით პროდუქტიულები იქნებიან?

— ალბათ, იქნება მაგის დროც, მაგრამ ამჯერად ეს პარტიები უერთმანეთოდ მგონია, რომ შედეგად ვერ იქნებიან და ეს, ალბათ, „ამერიკის აღმოჩენა“ არ არის თითოეული მათგანისათვის. ამ კოალიციის ძალაც თავის კოალიციურობაშია და რესპუბლიკელები ამას ყოველთვის აცნობიერებდნენ. იციან, რომ ერთად უნდა იყვნენ და, სავარაუდოა, რომ ერთად ყოფნის მნიშვნელობას აცნობიერებენ ამ პოლიტიკური გაერთიანების სხვა ნევრებიც, მათ შორის, „ქართული ოცნება“. ასე რომ, რაში შეიძლება დასჭირდეს ამ გაერთიანების ნებისმიერ წარმომადგენელს გაერთიანების დასუსტება, ცოტა გაუგებებია.

— დავით ბერძენიშვილის განცხადებას წინ უსწრებდა, პარლამენტის თავმჯდომარის საავტორო წერილთან დაკავშირებული ხმაური, ასეთი ვერსიაც მოვისმინე, რომ კოალიციაში გარკვეული ჯგუფი ებრძვის პროდასავლურ ძალას. ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება?

— პროდასავლური პარტია მარტო რესპუბლიკელები არ არიან. პროდასავლური პარტია არის ალასანიას გუნდი და თვითონ „ქართული ოცნებაც“, რომლის პოლიტიკურ კურსზე ბევრი კითხვები იყო, მაგრამ განვლილმა პერიოდმა და დასავლეთთან წარმატებულმა ურთიერთობამ, ეს კითხვები მოხსნა. ამიტომ, თვითონ კურსის მიხედვით, შიდა დაპირისპირების ახსნა, ეს უფრო პოლიტიკური ხერხია, დაახლოებით ისეთი, ნაციონალები რომ ამბობენ-ხოლომე, გვებრძვიან, რადგან ევროპული პარტია ვართ.

ჩვენ ვხედავთ, რომ დაპირისპირება ძირითადად არის ძალაუფლების გაყო-

ფა-განაწილებაზე. თუ ერთი გუნდი უფრო მეტ ძალას ფლობს, ვიდრე მეორე, იქ შეიძლება გაჩნდეს სურვილი, რომ ჩააწორონ ეს ძალა და თვითონ დაიკავონ ლიდერის პოზიციები. ეს მოტივი გასაგებია, მაგრამ იმის თქმა, რომ რესპუბლიკელები დღეს უფრო ძლიერად არიან წარმოდგენილი, ვიდრე იგივე ალასანიას გუნდი, მმართველობის განაწილების კუთხით, არ მგონია, რომ სწორი იყოს. უსუფაშვილზე შეტევა იმით აიხსნება, რომ უსუფაშვილი პარლამენტის პირველი პირია. სხვა რესპუბლიკელები მსჯელობის საგანი არ გამხდარან. პარლამენტის პირველი პირზე შეტევა, შეიძლება ითქვას, რომ საამაყო. მგონია, რომ ამით იხსნება პარლამენტის თავმჯდომარეზე შეტევა და არა იმით, რომ ის რესპუბლიკური პარტიის წევრია.

— ბერძენიშვილის განცხადება ცხადყოფს, რომ რაღაც სახის წინააღმდეგობა რეალურად არსებობს კოალიციაში და როგორ ფიქრობთ, ეს განცხადება არის ბიჭი იმისკენ, რომ კოალიციის გახლეჩა მოხდეს?

— პრინციპში ამ ტიპის განცხადებას შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური დაპირისპირება და არ ვიციყოფი, რომ ბერძენიშვილის განცხადება ხელს უწყობს კლიმასის შენარჩუნებას. მეორე მხრივ, რესპუბლიკელები ყოველთვის ხასიათდებოდნენ პირდაპირი პოლიტიკით, ანუ ლიად იმაზე ლაპარაკით, რასაც მიუღებლად თვლიან, ასე რომ, რესპუბლიკელების მხრიდან ასეთი შემტევი ტონი ახალი არაა, ეს უფრო ამ პოლიტიკური გუნდის ჩვევაა, ვიდრე რაღაც ახალი სტრატეგია, რომელიც შეიძლება მათ ჰქონდეთ.

როგორც გვახსოვს, ხშირად აქვთ ასეთი პოზიცია, რომ მათ უტყვენ, მათ ებრძვიან. შეიძლება, ითქვას, რესპუბლიკური პარტია ელიტარული ტიპის პარტიაა, რომელიც პოლიტიკაში ჩართულ ინტელექტუალურ წრეებს არ მოსწონთ, იმიტომ, რომ თვითონ რესპუბლიკელები ინტელექტუალური გუნდია, მაგრამ შეიძლება, ყოველთვის ფართო მასებს არ ესმოდეთ ამ გუნდის ღირებულება.

თანაც პოპულისტები არ არიან და არ იბრძვიან ფართო აუდიტორიის მოსაზიდად. თუმცა, პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანისთვის მნიშვნელოვანი არიან, რაც კარგად გამოჩნდა მაშინაც, როდესაც ივანიშვილმა სწორედ რესპუბლიკელებთან თანამშრომლობა მოინდომა. მან დაინახა მათი ღირებულება. მაგრამ, ამ მდგომარეობამ, რომ ხშირად თავის მართლების რეჟიმში უწევთ ყოფნა, გაუჩინა აქეთ შემტევი ხასიათი.

— თქვენ თვლით, რომ ბერძენიშვილის ეს განცხადება არ მიანიშნებს იმაზე, რომ რესპუბლიკელებმა, შესაძლოა, კოალიცია დატოვონ? შეგახსენებთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, როდესაც მან თქვა, რომ იგივე პარტიები, რომლებიც დღეს კოალიციაში არიან, შექმნიან მრავალპარტიულ პარლამენტს...

— თუ მათ ამ მიმართულებით გააგრძელებს სვლა, შეიძლება, არ იყოს ეს ცუდი ვერსია. ეს დემოკრატიის ხარისხს გაზრდის, მაგრამ გაუჭირდებათ. არ გამოვიცხავ, რომ მივიღოთ ისეთი სიტუაცია, როცა გაყოფილმა ხმებმა და საზოგადოების ნიჰილიზმმა პარლამენტის დაკომპლექტების საშუალებას არ მისცეს ქვეყანას.

თამთა ძარჩავა

◎ ალიანგალიანი

## დავნილთაშვილის ბინები შეიძინა

სამხარტოქველს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი ბოლნისში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა.

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ქვემო ქართლის რეგიონში 23 დევნილი ოჯახისათვის კერძო სახლები შეისყიდა, აქედან 9 სახლი ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროექტის ფარგლებში, დევნილებს საშუალება ჰქონდათ, 20 000 ლარის ფარგლებში, სახლები სურვილის მიხედვით თავად შეერჩიათ. მინისტრი სოზარ სუბარი, მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტინაშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა მეშველიანი კერძო სახლებში მცხოვრებ დევნილებს ესტუმრნენ და მათი საცხოვრებელი პირობები მოინახულეს.

მინისტრის განცხადებით, დევნილების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პარალელურად, მნიშვნელოვანია შემოსავლის წყაროების გაჩენა და მათი დასაქმება. ბოლნისში სტუმრობის ფარგლებში, მინისტრი ყოფილი ბაღის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ოჯახებსაც შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

## ჩამორთმეული ავტომანქანა მისაკუთრებს დაუბრუნდა

შინაზან საქმეთა სამინისტრომ 2011 წელს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებულად ამოღებული ავტომანქანა „ფორდ ტრანზიტი“ მისაკუთრებ ვაჟა ქათამაძეს დაუბრუნა. უწყების ინფორმაციით, მოქალაქე საქართველოში იმპორტირებული და საქართველოს შსს-ში რეგისტრირებული ავტომანქანის შექმნის შედეგად დაზარალდა.

„ავტომანქანის შექმნის შემდეგ დადგინდა, რომ მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები იყო შეცვლილი, რაც გახდა გამოძიების დაწყებისა და აღნიშნული ავტომანქანის ჩამორთმევის საფუძველი. 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დადასტურდა, რომ ავტომანქანის შექმნა ვითლისინდისერად მოხდა. ასევე გამოიძინა დაზარალებული პირის რაიმე ფორმით მონაწილეობა მითითებულ დანაშაულში. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო და სატრანსპორტო საშუალება „ფორდ ტრანზიტი“ მის კეთილსინდისიერ მყიდველს დაუბრუნა“, - აცხადებენ შსს-ში.

ინტერპრესი

ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე ქართველ გოგობიჭების გასაგონად: ხომ არ დადგა ჩინური ენის შესწავლის დრო? დარწმუნებული ვარ, სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ წლებში ჩინური ენის სპეციალისტები ხელზე სატარებლები იქნებიან – ამ უზარმაზარი ქვეყნის გრანდიოზული წარმატებების განხორციელების შედეგად.

ქართულ სკოლებში ჩინური ენის სწავლების საკითხი თავის დროზე სერიოზულად განიხილა აჭარის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ და შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგა – ჯერ, საქართველოში ჩინეთის ელჩს მიმართა თხოვნით (ის ხშირი სტუმარი იყო აჭარის ხელისუფლების), აჭარის საშუალო სკოლებისთვის ჩინელი მასწავლებლების გამოგზავნის თაობაზე, შემდეგ 21-ე საუკუნის დასაწყისში, ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, პეკინსა და გუანდუნის პროვინციის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას, გაიმეორა იგივე თხოვნა.

ჩინეთში ვიზიტის მთავარი მიზანი კი თავისუფალი ეკონომიკური ზონების მუშაობის გაცნობა იყო. ჩინეთის ხელისუფლებამ ქართველ სტუმრებს ამ თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული პროვინციის, გუანდუნის მონახულება შესთავაზა.

ჩინური ენის სწავლების და თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხებს, მასპინძელთა მხრიდან სწრაფი რეაგირება მოჰყვა. სულ რაღაც 2 თვეში აჭარას გუანდუნის მთავარი ქალაქის, გუანჯოუს უნივერსიტეტის მეცნიერ-პრაქტიკოსთა ჯგუფი ეწვია, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მუშაობის პერიპეტეების ჩვენთვის გასაცნობად და პარლამენტში განსახილველი კანონპროექტის მოსამზადებლად.

პირველ ჯგუფს მალე მეორე ჯგუფიც მოჰყვა და საერთო ძალისხმევით შეიქმნა კანონპროექტი – საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თაობაზე. კანონპროექტი, წინასწარ, საქართველოს პარლამენტის წევრებმაც განიხილეს და დადგა კენჭისყრის დღე. მანამდე კი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრების გარკვეულმა ნაწილმა, ცხადია, საქართველოს პრეზიდენტის შევარდნაძის მითითებით, შორს დაიჭირა თავი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნიდან და კატეგორიული ნეგატიური განწყობა დააფიქსირა. წინააღმდეგობის საბაბი იყო ის, რომ ინიციატორი ოპოზიციონერი ასლან აბაშიძე და პარტია „აღორძინება“ იყო.

სასარგებლო საქმისადმი ვინრო, პროვინციულმა მიდგომამ გამოიწვია ჩინელი სპეციალისტების მიერ მომზადებული კანონპროექტის ჩავარდნა. თითო-ორიოლა ხმამ გადაწყვიტა კანონპროექტის დაუკანონებლობა, რამაც, ფაქტობრივად, გაჩანაგებული ქართული ეკონომიკა არსებულ მდგომარეობაში დატოვა. არადა, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა საქართველოს ეკონომიკა.

სხვათა შორის, აქვე მინდა, ვთქვა, რომ კანონპროექტს მხარი დაუჭირა სააკაშვილის მიერ შექმნილმა ახალმა პარტიამ. კანონპროექტის დაკანონების შემთხვევაში მოხდებოდა თუ არა ეკონომიკური გარღვევა, ანუ წინსვლა, დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სავარაუდოა, მაგრამ ჩინელი სპეციალისტების დახმარებით და ზედამხედველობით (რაც გამოითქვა კიდევაც მათი მხრიდან), სერიოზული ნაბიჯები რომ გადაიდგებოდა, ჩვენთვის, ამ საქმეში ჩართულთათვის, ცხადზე უცხადესი იყო. ცნობისთვის, იმასაც მოგახსენებთ, რომ სწორედ თავისუფალი ეკონომიკური ზონების წყალობით მოხდა ჩინური ეკონომიკური აღორძინება.

რაც შეეხება მეორე საკითხს – ჩინელი პედაგოგების გამოგზავნას, ესეც გაკეთდა, თუმცა, აჭარიდან ასლან აბაშიძის იძულებითი წასვლის შემდეგ, დიდი წერტილი დაესვა. მანამდე კი მოხერხდა აჭარის უნივერსიტეტის სტუდენტების მოკლევადიანი სასწავლო მივლინება ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის უნივერსიტეტში, მასპინძელთა ხარჯით.

ჩინელი მასწავლებლების ხელფასებით და საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების საკითხს აჭარის ავტონომია იღებდა თავის თავზე. მასწავლებლების თვიური ხელფასი 1500 დოლარი უნდა ყოფილიყო – ჩვენის აზრით, საკმარის მაღალი ხელფასი. ჩინელთა აზრით, არცთუ – მომთბლებელი, ვინაიდან, როგორც გაირკვა, იქ, პედაგოგები მეტს იღებდნენ. ესეც თქვენი ჩინეთი!

დღეს, ჩინეთის შესახებ საქართველომ მეტი იცის, თუნდაც აქ თითქმის მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსული ჩინელების წყალობით. ჩინურმა მალაზიებმა, რესტორნებმა და წვრილმა ბიზნესმა თავისი გააკეთა, ისევე, როგორც ჩინეთიდან შემოზიდული სხვადასხვა სახის პროდუქციამ. მაგრამ ღრმა ცოდნა ამ უზარმაზარი ქვეყნისა, ჯერაც არ გაგვაჩნია, რაშიც უპირველესად ქართული დიპლომატია დაიმსახურა.

ჩინეთში, საქართველოს საელჩოში მომუშავე „დიპლომატები“ და არა მარტო ჩინეთში, სხვაგანაც, თავს არ ინუხებენ მასპინძელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის, პოლიტიკის, კულტურის საქართველოს მოსახლეობისთვის გაცნობით. ქართული პრესა დამუშუდდა ამგვარი სტატიების დევიტებით. დამუშუდდა საქართველოს საზოგადოებას, ვინაიდან მან არც კი იცის, რა ქვეყანასთან აქვს საქმე. ეს, რომ ასე არ ყოფილიყო, ბატონი პეტრე მამრაძე ლია ეთერში არ შემედავებოდა ჩინეთი ღარიბი ქვეყანაო.

ქვეყნის სოციალური ყოფა სხვადასხვა საზომით იზომება, მათ შორის, ტურიზმით, ანუ გარე ტურიზმით, ანუ

კონკრეტულ შემთხვევაში ჩინელი ტურისტების როდენობით მთელს მსოფლიოში. პოდა, ამ პარამეტრით ჩინეთი რახანია პირველია მთელს მსოფლიოში. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ჩინეთში ნაწარმი პროდუქცია – ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ელექტრონიკა და ა.შ. ავსებს აშშ-ის, სხვა სახელმწიფოების სუპერმარკეტებს, საქმე სხვაგვარადაა.

მასხოვს, – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გატარებული გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები და საქართველოში ჩინეთის ელჩის ხშირი მოსვლები სამინისტროში. მაშინ სამინისტროს შენობაში შესვლა თავისუფალი იყო. უცხად გაიღებოდა კაბინეტის კარი და შემოვიდოდა ჩინეთის ან სხვა ქვეყნის ელჩი. და იმართებოდა უშუალო საუბარი.

ჩვენ ზერეულ წარმოდგენაც არ გვქონდა დიდი ჩინეთის შესახებ. აქ მყოფმა ელჩმა კი ზედმიწევნით, კარგად იცოდა, რანი ვართ. ჩვენი ცოდნის გასაღრმავებლად ჩინეთის ელჩი მუდამ გვთხოვდა ჩინეთში საქართველოს საელჩოს გახსნას. პირველმა ჩინელმა ელჩმა და მისმა მომდევნოებმა ისე დაამთავრეს თავიანთი დიპლომატიური მისია

# ჩინეთის გიგანტური ნახტომი



საქართველოში, რომ საქართველოს ვერა და ვერ გაახსენებენ საელჩო ჩინეთში. ფული არ გვაქვსო, – იმიზეზებდა ქართული მხარე. ჩვენი ფულით გახსენითო – იყო პასუხი და ასეც მოხდა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა დიპლომატიაში არსებულ ნორმებს.

აქვე აღვნიშნავ – მასპინძელი ქვეყნის ფულით გახსნილი საქართველოს საელჩო იყო ყაზახეთში, იტალიაში, სხვაგან, რაც დიპლომატიური ანბანის უცოდინარობაა და მეტი არაფერი.

ჩინეთის ელჩის მიერ მოტანილი ბუკლეტებით ვეცნობოდით ამ ქვეყანას და ვერ წარმოგვედგინა, სიმართლე იყო თუ ბლეფი. სიმართლეაო – ყურში ჩაგვძახა ნიკოლოზ გულიაშვილმა, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურმა წარმომადგენელმა ჩინეთში. „ფანჯრიდან რომ ვუყურებ პეკინის ცათამბჯენებს, თავი მანკეტენზე მგონიაო“, – ამბობდა ის.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს, საქართველოს, ერთობ პატარა ქვეყანას თითქმის 70 ქვეყანაში აქვს გახსნილი საელჩო, რაც, ჩემის აზრით, სრულიად მიუღებელია, ვინაიდან იმ ქვეყნების უდიდეს უმრავლესობასთან საქართველოს პოლიტიკას, მით უმეტეს ეკონომიკას, არასდროს ექნება შეხების წერტილი.

გარდა ამისა, პატივცემული მკითხველო, როგორ წარმოგიდგინათ საქართველოს 70 ელჩი? მათი უდიდესი ნაწილი შორს, ძალიან შორს არის დიპლომატიისგან და იმ მოთხოვნებისგან, რასაც დიპლომატია აყენებს – მაგრამ ეს თემა სხვა დროს და სხვა შემთხვევაში განსახილველი, თანაც საფუძვლიანად, ვინაიდან საბიუჯეტო თანხების ამ საქმეში ხარჯვა ძვირი უჯდება ქვეყანას.

ჩემს მიერ მოყოლილი ამბავი არცთუ შორეულია. ისტორიის თვალსაზრისით ცინცხალი ამბავია და მიუხედავად ამისა, გიგანტური ნახტომი მოშობილი ქვეყნისა, ნახტომი, რომელმაც ეკონომიკური თვალსაზრისით უძლიერეს ქვეყნებს გადაუფრინა და მილიარდნახევრიანი ქვეყანა მსოფლიოს პირველ ეკონომიკად მოავლინა. ძნელად მოიძებნება დარგი, სადაც ჩინელი, მონინავე არ იყოს: სპორტი, კულტურა, მეცნიერება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ამას წინათ ცნობილი რუსი პიანისტი დენის მაკუევი შურით ამბობდა: – „ჩინეთს 50 მილიონი პიანისტი ჰყავს“.

სულ ახლახანს რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის ზუგანოვის ჩინეთში ვიზიტის დროს, მოსკოვის ტელევიზიამ აჩვენა სასოფლო-სამეურნეო ობიექტის დათ-

ვალიერების სიუჟეტი. იყო მასპინძელთა შემდეგი სიტყვები – „დარდი ნუ გაქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რა რაოდენობითაც გინდათ, იმ რაოდენობას მოგანვადით“. და ეს არის გუშინდელი დამშუული ჩინეთი, ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგით, მაგრამ სწორი გათვლებით და შრომით.

1989 წელს ჩინეთის ლიდერის დენ სიაოპინის ნათქვამმა – „მნიშვნელობა არ აქვს, რა ფერისაა კატა, მთავარია, თავებს იჭერდესო“, სასწაულები მოახდინა, ანუ კომუნისტური ჩინეთი კაპიტალისტურად გადააკეთა და თანაც ისე, რომ დღეს ჩინელი მილიარდერების რაოდენობა ოდნავ ჩამოუვარდება ამერიკისას.

რაც შეეხება ეკონომიკას, ჩინეთი პირველია. 142 წლის განმავლობაში აშშ იყო მსოფლიო ეკონომიკის მთავარი გამომძრავებელი ძალა და აი, სავალუტო ფონდის ცნობით, ამ პირველობას ბოლო მოეღო. ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოებით ჩინეთმა გაუსწრო აშშ-ს – 17,6 ტრილიონი დოლარით, 17,4 ტრილიონ დოლარზე. ყოველივე ეს კი ნიშნავს, აშშ-თან შედარებით ჩინეთში არსებული ცხოვრების დონის სიიარაღი.

აშშ 1872 წლიდან დაწყებული იყო მსოფლიო ლიდერი, მანამდე კი – დიდი ბრიტანეთი, სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, ადრე განხორციელდა სამრეწველო რევოლუცია. მაგრამ აშშ-ის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ (1865), იქ სწრაფად მოხდა ინდუსტრიალიზაცია, რასაც ხელი შეუწყო ამ კონტინენტზე 30 მილიონი ევროპელის გადასახლებაამაც.

რამ განაპირობა აშშ-ის ლიდერობა? უპირველეს ყოვლისა, მაღალმა შრომის ნაყოფიერებამ, ინოვაციამ და მსოფლიო საფინანსო რეზერვების 62%-ის დოლარებში ყოფნამ. მიუხედავად ამისა, ჩინეთი გადის პირველ ადგილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ეკონომიკა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე აშშ-ისა. ავილოთ ტონა ქვანახშირი, ტონა ფოლადი და ასფალტი – ჩინეთში ისინი გაცილებით იაფია, ვიდრე აშშ-ში.

დავყოთ ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტი სამ ნაწილად. პირველი – სოფლის მეურნეობა, მეორე – მრეწველობა და კაპიტალური მშენებლობა, მესამე – ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა, ბანკები.

ჩინეთში მთავარი აქცენტი მოდის მეორე ბლოკზე, აშშ-ში – მესამეზე.

აშშ-ის ეკონომიკა აწარმოებს ნაკლებს, ვიდრე ჩინეთი. უფრო მეტიც, ამერიკული მალაზიები გადაჭედულია ჩინური პროდუქციით, თანაც იაფით, მაშინ, როდესაც ამერიკული ძვირია. ჩინური საქონლის ფასი და ხარისხი ჯობნის ამერიკულს. ჩინურ-ამერიკული სავაჭრო ურთიერთობების მაგალითი თითოეული ამერიკული ოჯახი ყოველწლიურად 1000 ამერიკული დოლარის დანახოვას აკეთებს.

ამერიკელებმა ასეთი ექსპერიმენტიც ჩაატარეს – წლის განმავლობაში არ ყიდულობდნენ (ერთი ოჯახის წევრები) ჩინურ საქონელს. საბოლოოდ, ისინი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

როდესაც მესამე ბლოკზე მოდის ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების მთავარი აქცენტი – ქვეყანა ცოტას აწარმოებს. ვილაცამ უნდა აწარმოოს ხალხისთვის ყოველდღიურად საჭირო პროდუქცია. ამერიკა აწარმოებს ასეთ პროდუქციას, მაგრამ მისი თვითღირებულება გაცილებით მაღალია ჩინურზე. საკმარისი იქნება, ჩინეთმა მესამე ბლოკს დაუთმოს ყურადღება, ისიც ამერიკის დღეში აღმოჩნდება.

მასხოვს პრეზიდენტ რეიგანის განცხადება აშშ-ის მრეწველობიდან განთავისუფლების თაობაზე. ასეც მოხდა. მრეწველობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადავიდა, მათ შორის ჩინეთში. აშშ კი გადაიქცა ნოვაციებისა და ახალი გამოგონების, ანუ ტვინის სამყაროდ, მაგრამ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ამ იდეამ ბევრი ვერაფერი მოუტანა ქვეყანას.

აშშ აშკარად ხედავს თავისი ჰეგემონობის დასასრულს. ის გრძნობს მის უკან მორბენალი ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, სხვების სუნთქვას. ჯერჯერობით დოლარით, სავალუტო ფონდით, მსოფლიო ბანკით და მსოფლიოს 150 ქვეყანაში განლაგებული სამხედრო ბაზებით, ოკეანებში მცურავი ავიამზიდებით ახერხებს პირველობის შენარჩუნებას, ისევე, როგორც „ფერად-ფერად“ რევოლუციებით, ქვეყნების ერთმანეთზე გადაკიდებით, რელიგიათა დაპირისპირებით. მაგრამ შეძლებს ყოველთვის და ყოველდღიურად ამ ტიტანური ავანტიურის განხორციელებას?

ვეჭვობ, რომ შეძლოს, ამიტომ ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე საქართველოს პოლიტიკას ვურჩევ ახლა ჩინური ისწავლოს და ნაცვლად რაღაც სერიოზულის, ფუნდამენტურის შექმნისა, ილოღინოს ყანწით ხელში და თქვას – „ღმერთი, რომ მინებს არიგებდა, ქართველობა კეიფობდა ...“ და ამას ვამბობთ სიამაყით, დღევანდელი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

დაიხ, ვილინებთ და ვიმღერებთ, ამასობაში მინა, რომელიც ჩვენი გვეგონია, ფეხქვეშ გამოგვეცლება და დავრჩებით ცარიელ-ტარიელნი, უმიწოდ და, რაც მთავარია, უტივინოდ, მხოლოდ სიმღერით – „მრავალჟამიერო“.

**ჰაპლატ შიპაშვილი,**  
პოლიტოლოგი.

წინასიტყვაობა

როდესაც 2008 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებზე ჩამოვარდება საუბარი, ხშირად ისმის მოსაზრება, რომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელმა მხარემ დაინიშნა საომარი მოქმედებები 8 აგვისტოს, ან შემოვიდა თუ არა რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 7 აგვისტოს. ამგვარი პოზიციის დამცველები აცხადებენ, რომ თითქოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის „200 წელია მიმდინარეობს“ (იგულისხმება ქართულ-კახეთის რუსეთთან შეერთების დროიდან).

სინამდვილეში, სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე დიდი ხნით ადრე შეგნებულად დაბრუნდა რუსეთთან ურთიერთობებს. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ხდებოდა შეგნებულად და ამით მზადდებოდა სიტუაცია, რომ საომარი მოქმედებები გარდაუვალი გამხდარიყო. სააკაშვილის მიერ ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვა დაიწყო იქამდეც კი, ვიდრე ის პრეზიდენტად მოვლენილიყო და საქართველოს ჩვენს მიერ გამოცემულ ბროშურაში „რუსეთ-საქართველო: რა ხდება“ (2010 წ.) შეტანილია ცნობილი პუბლიცისტის თემურ მირიანაშვილის მონაცემი 1997 წელს რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შესახებ, რომლის ჩაშლასაც სააკაშვილი შეეცადა.

ენ. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის პროვოკაციულმა გამოსვლებმა რუსეთის და მისი ხელმძღვანელების მიმართ პიკს მიაღწია. ზემოთ ნახსენებ ბროშურაში მოტანილია ასევე ფაქტები, თუ როგორ ლანძღავდნენ, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ პირადად პუტინს და სხვა რუს მალაჩინოსებს სააკაშვილი, მისი მთავრობის წევრები თუ ოფიციალურ წრეებთან დაახლოებული ენ. ექსპერტები. ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ რუს ხალხს, მაგალითად, იმხანად ეკონომიკის მინისტრად დანიშნული ი. ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ რუსეთში „ფეკალური მასაც“ კი რომ შევიტანოთ, რუსები მაინც დალევნენ.

ასევე ხელოვნურად დაბრუნდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს სააკაშვილის რეჟიმის ქმედებები. მაგალითად, ენ. რუსი ჯაშუშების დაკავების დროს, მათ დემონსტრაციულად დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში, ქალი-პოლიციელების „ზადრაგის“ ქვეშ, რითაც ვითომ ნიშნს უგებდნენ რუსეთს: ნახეთ, როგორი „ცივილიზებული“ და „ევროპული“ სახელმწიფოს შექმნა მოახერხებ ჩვენ, „ნაცებმა“, ორიოდე წელიწადში, თქვენ კი ისევ „ველურ რუსებად“ დარჩით. ამავე დროს, ცდილობდნენ რუსი ოფიცრების მორალურად დამცირებას.

მსგავსი გამოსვლები სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან მრავლად იყო, რასაც რუსეთი უპასუხოდ არ ტოვებდა, ამას კი, თავის მხრივ, ლანძღვის და კრულვის მორიგი ნიადაგი მოსდევდა სააკაშვილის და მისი „თანამებროდლების“ მხრიდან. ამგვარად იქმნებოდა ჩაკეტილი წრე, რომელიც სულ უფრო დაბრუნდა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს.

ეს ყველაფერი დასრულდა 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოთი, როცა, სააკაშვილის ბრძანებით, ქართული არმიის არტილერიამ მასირებული ცეცხლი გახსნა ცხინვალის და ოსური სოფლების მიმართულებით. დაიწყო აქტიური საომარი მოქმედებები, რომლებიც რამდენიმე დღე გაგრძელდა და დამთავრდა საქართველოს სამხედრო ფორმირებების სრული გამოდევნით როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიიდან.

თუმცა, ამის შემდეგაც სააკაშვილის რეჟიმი განაგრძობდა პროვოკაციულ ქმედებებს. კერძოდ, პირადად სააკაშვილმა უარი განაცხადა სარკოზი-მედევედის შეთანხმების ტექსტში ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების გამართვის შეტანაზე. ამავე დროს, იმუქრებოდა რუსეთის გამოცხადებით ოკუპანტად და „პარტიზანული ომის“ დაწყებით. სწორედ ამ პირობებში ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გადამწყვეტილების მიღება.

იმისთვის, რომ აღვადგინოთ მოვლენათა ქრონოლოგია და გავარკვეთ მათ მამობრავებელ მიზეზებს, თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ მთავარი კითხვები და შევეცადოთ, დასაბუთებული პასუხები გავცეთ მათზე.

**შეპიტხვა პირველი: ვინ იყო დაინტე-**

**რესებული ომის გაჩაღებით?** ამ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავვრკვეთ კიდევ ერთ კარდინალურ შეკითხვაში: **ვინ ისარგებლა აგვისტოს ომის შედეგებით?** ერთი შეხედვით, ჩანს, რომ ომის შედეგებით ისარგებლა რუსეთმა და „საქართველოს წაართვა მისი ძირძველი ტერიტორიები“. სინამდვილეში, საქმე გაცილებით უფრო რთულად არის.

ისტორიიდან მრავლად ვიცით ფაქტები, რომ ბრძოლის ან თუნდაც ომის მოგება სულაც არ ნიშნავს ავტომატურად პოლიტიკური დივიდენდების მიღებას. რუსეთის არმია გამარჯვებული გამოვიდა აგვისტოს ომიდან, მაგრამ სამხედრო წარმატება გადაფარა პოლიტიკურმა დანაკარგებმა:

ა) რუსეთმა გაიმყარა პოზიციები აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მაგრამ დაკარგა ყველაფერი საქართველოში, მათ შორის, ადამიანობით ურთიერთობების

**შეპიტხვა მეორე: სურდა თუ არა რუსეთს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარება?**

2008 წლის თებერვალში ნატოს მიერ ოკუპირებულმა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მყისიერად აღიარა ის. რუსეთი, რომელიც გამოდიოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან და სალი აზრიდან, გადაჭრით შეენიანაღმდეგა კოსოვოს დამოუკიდებლობას. მაგრამ დასავლეთმა არ შეისმინა რუსეთის პოზიცია. ბევრი პოლიტიკოლოგი ელოდა, რომ ამის შემდეგ მოსკოვი სიმეტრიულ ზომებს მიიღებდა და აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას აღნიშნავდა, რისთვისაც მას მხოლოდ უმნიშვნელო საბაბი სჭირდებოდა. თუმცა, მოხდა საპირისპირო რამე – რუსეთი საერთაშორისო სამართლის ერთგული აღმოჩნდა და არ აღი-

კონტროლს და მას აღარ რჩებოდა იურიდიული საფუძველი, ჯარები დაეტოვებინა ამ ტერიტორიებზე.

გავიხსენოთ რუსეთის პრეზიდენტის დ. მედევედის განცხადება 2008 წლის 26 აგვისტოს, როცა მან გამოაცხადა აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შესახებ: ამ განცხადებაში მედევედემ ხაზი გაუსვა, რომ დამოუკიდებლობის აღიარება მისთვის „მძიმე გადაწყვეტილება“ იყო.

**შეპიტხვა მესამე: ვინ იყო რეალურად დაინტერესებული რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო კონფლიქტის გაჩაღებით და რუსეთის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარებით?**

პირველ რიგში, სტრატეგიულად ეს ხელსაყრელი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ აშშ, ჯერჯერობით მაინც, არ გამოხატავს ინტერესს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მიმართ. ამავე დროს, ამერიკელთა ინტერესი საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მიმართ აშკარაა. ეს ტერიტორია, ნათელი ხიდიდან ფოთის და ბათუმის პორტებამდე, ხელსაყრელი სატრანზიტო „დერეფანია“. აფხაზეთს და ოსებს არ შეუძლიათ და არც სურთ, ხელი შეუშალონ ამ „დერეფანს“ ფუნქციონირებას, სამაგიეროდ, „დერეფნად“ გადაქცეული საქართველო ამერიკის ერთგულ ვასალად იქცა.

საქართველოს რომ შეეცადა დაბალანსებული ურთიერთობები რუსეთთან, მაშინ აქ არ იქნებოდა ტოტალური ამერიკული გავლენა, და არც სააკაშვილის რეჟიმი იარსებებდა. უფრო მეტიც, ქვეყანას გაუჩნდებოდა გაერთიანების ბევრად უკეთესი პერსპექტივა.

სწორედ ამიტომ, ამერიკელებმა, სააკაშვილის რეჟიმის ხელით, ამგვარი პროვოკაცია მოუწყვეს რუსეთს და, ფაქტობრივად, აიძულეს ის, რომ მიეღო მისთვის ნაკლებად მომგებიანი გადაწყვეტილება. რუსეთს „მიაჩნეს“ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, როგორც „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები, პარალელურად კი ლაშის საბოლოოდ გააფუჭეს ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის.

გავიხსენოთ ასევე, რა ხდებოდა აშშ-ში 2008 წლის ზაფხულში. ამ დროს იქ მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა პრეზიდენტის პოსტისთვის. რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენდა სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც ასევე ცნობილია თავისი მჭიდრო კონტაქტებით სააკაშვილთან და მისი მფარველობით. მაკკეინი აშკარად ჩამორჩებოდა რეიტინგით დემოკრატთა კანდიდატს - ბარაკ ობამას.

საქართველოში ომის დაწყების შემდეგ, აშშ-ს საარჩევნო კამპანიაში აქცენტებმა გარკვეული პერიოდით გადაინაცვლა საგარეო პოლიტიკის სფეროში. მაკკეინის გუნდმა ეს თემა გადააქცია დებატების მთავარ თემად და რუსეთისგან მტრის ხატის შექმნა დაიწყო. მაკკეინის რეიტინგი სწრაფად დაეწია ობამას რეიტინგს და ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებდა ამ არჩევნებში, რომ არა იმავე წლის შემოდგომაზე დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ბუშის ადმინისტრაციისა და რესპუბლიკელთა რეპუტაციას, რომლის წარმომადგენელი იყო მაკკეინი. ამის შემდეგ ობამას პოზიციები ისევ გაძლიერდა. ამიტომ ცხადია, რომ აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო ამ ომის გაჩაღებით, როგორც ამერიკული ამომრჩევლის ყურადღების გადატანის საშუალებით ეკონომიკური პრობლემებიდან.

მხოლოდ სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანი თუ დაინებეს კამათს იმაზე, რომ ბუშის ადმინისტრაციას აბსოლუტური გავლენა შეეძლო სააკაშვილზე და მის გარემოცვაზე. პროამერიკელი „გრანტიჭამიების“ და დაქირავებულების ლულუხი იმის შესახებ, რომ თითქოს ამერიკელები „აფრთხილებდნენ“ სააკაშვილს, არ დაინიშნა ომი, სრული ტყუილია. უფრო პირიქით, კულტურული მოლაპარაკებები (გავიხსენოთ, მაგალითად, კონდოლიზა რაისის ვიზიტი საქართველოში ომამდე ცოტა ხნით ადრე) ამერიკის ნაქმუხებულ როლზე მიუთითებენ. სააკაშვილი, შესაძლოა, ფსიქოპათია, მაგრამ შეურაცხადი ნამდვილად არ არის და ვერ წავიდოდა რუსეთთან ომზე, ამერიკის ნების საწინააღმდეგოდ. ეს დამლუპველი იქნებოდა პირადად მისთვის.

**ეპრაზიის ინსტიტუტი.**  
(გაბრამილება იმნება)

# აპპისტოს ომი: პასუხები მთავარ კითხვებზე



ქონის საშუალება. ამავე დროს, გეოსტრატეგიულად საქართველო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთვის.

ბ) რუსეთს მკვეთრად გაურთულდა ურთიერთობები დასავლეთთან ამ კონფლიქტის გამო, რაც აშკარად არ შედიოდა ახლადარჩეული პრეზიდენტის დ. მედევედის გეგმებში.

გ) ეკონომიკურად რუსეთმა ვერაფერი ვერ მოიგო, პირიქით, წააგო – ის იძულებული იყო, ძალზე დიდი საბიუჯეტო სახსრები ჩაედო ცხინვალის აღდგენაში, და ამჟამადაც კი აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ განაგრძობენ დოტაციების მიღებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კიდევ ერთი ფაქტი: თავად სააკაშვილმა სახალხოვად აღიარა, რომ სწორედ მან, როგორც მარიონეტმა დასავლეთის ხელში, დაიწყო აგვისტოს ომი. თავისივე კუთვნილ ტელეკომპანია „რუსთავი2“-თან ინტერვიუში, მან შემდეგ განაცხადა (თითქმის სიტყვა-სიტყვით ციტირება): „და რა მოიგო რუსეთმა აგვისტოს ომით? სულ ორიოდე სოფელი. დაკარგვით კი ბევრი რამე დაკარგა“.

ამონარიდი გულბათი რცხილამის სტატიიდან, რომელიც გამოქვეყნდა ევრაზიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: „სწორედ ამის შესახებ ვწერ და ვსაუბრობ ორდღიანი ომის დასრულების მომენტიდან მოყოლებული. რუსეთს „შეტენეს“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რითაც მას ხელ-ფეხი შეუკრეს კავკასიის სამხრეთით – რუსეთის გავლენა ამ ტერიტორიებში ჩაიკეტა. ამის შესახებ ნათქვამია ჟურნალ „ქართული ელიტისადმი“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში, ხოლო სულ ახლახან რადიოგადაცემაში „პროვოკაციური“ განცხადებით, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა აიძულეს, ეცნო ქართული ტერიტორიების დამოუკიდებლობა, რამაც ისტერიული კრუნჩხვები და კონფუსიები გამოიწვია ან უკვე ჩამოშლილი სააკაშვილის რეჟიმის დაქირავებულ აპოლოგეტებს შორის. ეს იმიტომ, რომ ცხადია – რუსეთს უბიძგეს აღიარებისკენ ომის საშუალებით, რომელიც გააჩაღეს სააკაშვილის ხელით“.

არა კავკასიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. აქედან ჩანს, რომ რუსეთი არ იყო დაინტერესებული საქართველოს დანაწევრებით.

გარდა ამისა, რუსეთის საზღვრებთან წარმოიქმნა არაბუნებრივი სიტუაცია: ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მასზე ბევრად უფრო დიდ და განვითარებულ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაზე, „დამოუკიდებლად“ ითვლება, იმ დროს როცა ჩრდილოეთ ოსეთი – რუსეთის ნაწილად. გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარმა სიტუაციამ შეიძლება ნეგატიური შედეგები იქონიოს რუსეთის ფედერაციული მოწყობის სტაბილურობისთვის.

რუსეთის ინტერესებში არც ის შედის, რომ აფხაზეთმა რეალურად განიმტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი სეპარატისტები გარეგნულად ინარჩუნებენ რუსეთის მიმართ ერთგულებას, არც ის არის საიდუმლო, რომ აფხაზურ საზოგადოებაში არის უკმაყოფილება ჩრდილოელ მეზობელზე მეტსიმეტად დიდი დამოკიდებულების გამო. აფხაზები ცდილობენ კავშირების გაბმას თურქეთთან, სადაც ცხოვრობს მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ა.შ.

თუკი სოხუმი მოახერხებს თანდათანობით შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება, რისი შანსიც არსებობს, რუსეთისთვის ახალი თავის ტვიკვირი გაჩნდება კავკასიაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საფრთხეები რუსეთის ხელმძღვანელობას გათვლილი არ ჰქონდა თავის დროზე.

**შეპიტხვა მესამე:** მას რატომ აღიარა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობა, თუ ეს გადაწყვეტილება ნეგატიურად აისახებოდა მის პოლიტიკურ ინტერესებზე და ეკონომიკაზე?

რუსეთმა იძულებით გადაიდა ეს ნაბიჯი. შექმნილ სიტუაციაში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოსაზრებებზე უფრო მაღლა იდგა ის გარემოება, რომ თუკი რუსეთი არ ცნობდა ამ ორ რესპუბლიკას დამოუკიდებლად, მოსკოვი კარგავდა სიტუაციაზე

305 - ვის?

„რთულია ზუსტად იმის თქმა, იმყოფებოდა თუ არა მიხეილ სააკაშვილი ამ დღეებში ბაქოში, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი ნიზამი განჯელის საერთაშორისო ცენტრის წევრია“, - განაცხადა „ეხოს“ კორესპონდენტთან საუბარში პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა, პოლიტოლოგმა მუბარაბ აჰმედოვმა. მისი თქმით, როგორც ჩანს, ინფორმაცია, თითქოსდა საქართველოს ექს-პრეზიდენტი აზერბაიჯანის დედაქალაქში თანამებრძოლებს შეხვდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. „თუ გავიხსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილს თავის თანაპარტიელებთან უკვე ორჯერ ჰქონდა შეხვედრები საბერძნეთსა და თურქეთში, მაშინ ბაქოში დამატებითი შეხვედრის გამართვის აუცილებლობა აღარ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ, უბრალოდ, მიხეილ სააკაშვილის ფაქტობრივ აზერბაიჯანისათვის ერთგვარი მესიჯის გასაგზავნად გამოიყენა: „საქმე იმაშია, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებას ყველაფერში ეჭვი შეაქვს და ამიტომაც გაავრცელა ასეთი ინფორმაცია (ექს-პრეზიდენტის ბაქოში ყოფნის თაობაზე). თბილისის სურს, რომ ოფიციალური ბაქოს რეაქცია დაინახოს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვინცინ და მიხეილ სააკაშვილმა კარგად უნყის, რომ ჩვენი ხელისუფლება მას არ მისცემს იმის უფლებას, რომ აზერბაიჯანის ტერიტორია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებისათვის გამოიყენოს“.

# სააკაშვილი და მისი კლანი - სიხეული!

## იყო თუ არა მიხეილ სააკაშვილი ბაქოში?

მეოცნებეების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, მის მიმართ



„ეხოში“ ვერ შეძლო კომენტარის მოპოვება საქართველოს საელჩოს პრეს-სამსახურში. ამასთან, როგორც ბაქოს გამოცემა „ნოვოე ვრემია“ იუწყება, 17-18 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილი ინკოგნიტოდ მართლაც იმყოფებოდა ბაქოში. კერძოდ, 17 ოქტომბერს იგი კლუბ „პაციფიკოში“ დაინახეს, ხოლო მეორე დღეს საქართველოს ექს-პრეზიდენტი პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ზურაბ ჯაფარიძეს შეხვდა. კომპეტენტური წყაროების მტკიცებით, სრულიად შესაძლებელია, რომ მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანს ყალბი დოკუმენტებით ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებას ჩამოშორებულია, მის მიერ შექმნილ პარტია „ერთიანი ეროვნულ მოძრაობას“, ხოლო ხანებში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვებისა და სხვადასხვა დონის არჩევნების შედეგების მიხედვით, მკვიდრად აქვს დაკავებული მეორე ადგილი პოლიტიკურ რეიტინგში, მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ შემდეგ. მკითხველს შევახსენებთ, რომ „ქართველი

აღძრული სისხლის სამართლის ბრალდებების საფუძველზე დააპატიმრეს, გაასამართლეს და 4,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, რაც ოპოზიციური მიტინგის სასტიკ დარბევაში გამოიხატა). თუმცა, პარტიის ხელმძღვანელის სავარძელი ცარიელი დიდხანს არ ყოფილა - 2014 წლის სექტემბერში ნაცმოძრაობის ფორუმზე პარტიის ახალ ხელმძღვანელად ერთხმად იქნა არჩეული ზურაბ ჯაფარიძე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი 18 ოქტომბერს შეხვდა. ოთხი დღის შემდეგ კი საქართველოში ექს-პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგები და აქციები გაიმართა. რაც შეეხება თვითონ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერს, მასზე სამშობლოში ძებნა გამოცხადებული: სააკაშვილს ბრალად ედება სახელმწიფო სახსრების განიავება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დეპუტატისადმი ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და პრემიერ-მინისტრის მკვლელობის ორგანიზება.

მიხეილ სააკაშვილმა საქართველო პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ დატოვა და უკან აღარ დაბრუნებულა. აქვე შევნიშნავთ, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ხელისუფლება თავს მშვიდად ველარ გრძნობს. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ - ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მზარდი თანმიმდევრობით აკრიტიკებს ხელისუფლებას იმის გამო, რომ მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა „ცრუ-ოპოზიციად“ გადააქცია. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ვერ შეძლო განსასჯელის სკამზე დაესვა ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს. ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ამ ტენდენციაში მთავრობის შეცდომები და სისუსტე კი არაა გამოხატული, არამედ ბოროტგანზრახვა: ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის მოხდა ფარული გარიგება, „ქართული ოცნების“ არაფექტური პოლიტიკის წყალობით მიხეილ სააკაშვილის პარტია პოლიტიკურ არენაზე დარჩა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მტკიცებდა დარწმუნებული იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი განსასჯელის სკამზე უნდა იჯდეს და მას პასუხი უნდა მოეთხოვოს ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის. სხვათა შორის, სულ ახლახან პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აშშ-ის ელჩთან შეხვედრისას, როცა ამერიკელმა დიპლომატმა მას კითხვა დაუსვა მიხეილ სააკაშვილისა და მის თანამოაზრეთა „პოლიტიკური დევნის“ თაობაზე, პასუხად მიანიშნა, რომ მას, როგორც პრეზიდენტს, თავისი წინამორბედის შეწყალება შეუძლია. კიდევ ერთი ქართველი პოლიტიკოსი, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ დღევანდელი ხელისუფლებასა და მმართველ კოალიციაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროსაც მშვენივრად ცხოვრობდნენ და ახლაც თავს კარგად გრძნობენ, მათ დაავიწყდათ მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენის შესახებ. „არავის არა აქვს უფლება, მათ შორის, პრეზიდენტსაც, რომ მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს. ქართველმა ხალხმა ხმა პრეზიდენტს და მმართველ კოალიციას ძირითადად იმ მიზნით მისცა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი კლანი პასუხისგებაში მიეცათ იმ დანაშაულისათვის, რაც მათ ჩადიდეს“.

გაფრთხილება



## ნაციონალურის მორიგი სრიკთაბანი

ამ, მართლაც ურჯულო ურჯულებმა - ნაციონალურმა, თავიანთი მეთოდების 9-წლიან ვადსახსენებელ წლებში, იმდენი იმამაძაღლეს, იმდენი უჩინკინეს რუსეთს, სანამ ბებერი დათვი არ გააბრაზეს და აფხაზეთი და სამაჩაბლო ლანგრით არ მიართმევენ. და აი, ახლა, ამ ვიგინდარების ნარჩენებმა (არადა რომ არ ამოვიძრკვეთ, ახია ჩვენზე!) იმ მიზეზით, დღევანდელი ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად არაფერს აკეთებსო, ბრიფინგი გამართეს და 15 ნოემბერს მინტინგობანა მოინდომეს. ცინიკოსობა ამაზე შორს სად წავა? არა, არ გაგივთ ეგ ვირეშმაკობა ერის მოლაღატენო, სამშობლოს გამყიდველებო, თქვენ დაკარგული ტერიტორიები კი არა, საკუთარი ნაძარცვ-ნაღალაფარის საიმედოდ შეფუთვა გადარდებთ, და კიდევ, იმის შიში გაქვთ, მერაბიშვილ-ახალაია-უგულავას გვერდით არ ამოყოთ თავი. ვიცით, მიტინგს გამართავთ, რადგან დიდი ფული გაქვთ, ხალხის ძარცვით ნაშრომი, თუ სხვა ქვეყანაში მცხოვრები „მა-მა-მარჩენალების“ მიერ გამოგზავნილი. სატანისტმა მიშამ „რუსთავი-2“-ის ეთერით კიდევ ერთხელ დაგმოძღვრათ, თუ როგორ არიოთ ქვეყანა, ამასთან ჭკუანაღრძობი ნაცების ნარჩენებსაც მოხიკავთ. მაგრამ ძალიან ცდებით, თუ გგონიათ რომ ბევრ ხალხს მოაგროვებთ. თქვენი მხარდამჭერებიდან ნახევარიც აღარ დადგება თქვენს გვერდით. დღეს, ასე თუ ისე დალაგებულ და სტაბილურობისაკენ მიმავალ ქვეყანას ისევ არეულობისთვის წირავთ. გგონიათ ხალხს დაავინყდა პატიმართა წამება, ქონების წართმევა, მკვლელობები, დაკარგული ტერიტორიები. რად გიკვირთ მავთულხლართების გადმოწევა, თქვენს მარჩენალს ხომ იქამდე აქვს გაყიდული ქართული მიწა. ფრთხილად ნაძირლებო, მანქურთებო, მკვლელებო, საქართველოს გამყიდველებო, თორემ მართო რუსთავიდან იმდენი ჩამოვალთ, თქვენი ბუნდლა აღარ იქნება.

ალიანსიანი

## გაიზარდა ნათესი ფართობები

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დარგში მიმდინარე პოლიტიკურ ტენდენციებზე ინფორმაციას ავრცელებს. უწყების ცნობით, 2014 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაზარდილი და შეადგენს 322,5 ათას ჰექტარს, რაც 3,8 %-ით აღემატება 2013 წლის და 2,4 %-ით 2012 წლის მაჩვენებელს. „აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მონაცემებში არ შედის 2014 წლის მესამე კვარტალში დათესილი კულტურების ნათესი ფართობები, აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ გაიზარდება მონაცემების დაზუსტების შემდგომ. სიმინდის ნათესი ფართობი 2014 წლისათვის შეადგენს 151 ათას ჰექტარს, რაც 2012 წელთან შედარებით 31%-ით მეტია. კარტოფილის და ბოსტნეულ-ბალჩიულის კულტურების ნათესი ფართობი შეადგენს 46,5 ათას ჰა-ს, საიდანაც დაახლოებით 50%-ზე მეტი კარტოფილის ნათესებია“, - აცხადებენ უწყებაში. სამინისტროს განმარტებით, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდილი პირუტყვის სულადობის მაჩვენებელი. „2014 წლის 6 თვის წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 6,6 %-ით; ცხვრისა და თხის სულადობა გაიზარდა 10,6 %-ით; ფრინველის სულადობა გაიზარდა 13,6 %-ით; რძის წარმოება გაიზარდა 4,6 %-ით; კვერცხის წარმოება გაიზარდა 2,9 %-ით. ასევე სტაბილურად იზრდება ფუტკრის ოჯახების რაოდენობა. 2013 წლის ბოლოსათვის ფუტკრის ოჯახების რაოდენობა შეადგენდა 399 ათას სკას, რაც 15%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს“, - განმარტავენ სამინისტროში.

## ახალწიხის რაიონში ახალი საპასივიკო მეურნეობა გაიხსნა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის რაიონის სოფელ წნისში ახალი სამაცივრე მეურნეობა გაიხსნა. ახალი სამაცივრე მეურნეობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გახსნა. საწარმო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მარიანა მორგოშიამ, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო რწმუნებულ - გუბერნატორმა აკაკი მაჭუტაძემ და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა

დაათვალიერეს. შპს „ჯორჯიან ბიზნეს ზონაში“ სამაცივრე მეურნეობა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის და USAID/REAP-ს დახმარებით ააშენა. პროექტის ფარგლებში კომპანია 244,071 აშშ დოლარის იაფი სესხი, ხოლო USAID/REAP-ისგან 98,277 აშშ დოლარის დახმარება მიიღო.

სამაცივრე მეურნეობისთვის აშენდა ახალი შენობა, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სამაცივრე დანადგარებით. სამაცივრე მეურნეობაში შესაძლებელია 120 ტონამდე მოსავლის შენახვა. კომპანიამ პროექტის ფარგლებში შეიძინა სასოფლო-სამეურნეო ტრექტორი და მისამბელი აგროვატი.



კითხვები კაცის აზრი

(მესამე გვერდიდან) ჟენევის პროცესი სხვა ფორმატით ადრეც იყო. მის ფარგლებში მეც ვმონაწილეობდი. ჩემი ინიციატივით ერთ-ერთ დოკუმენტში ჩაინერა - აფხაზეთის ეკონომიკური განვითარება და რკინიგზის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ დევნილთა დაბრუნების პროცესის შეუქცევადობის პირობებში.

— თუ დასავლეთისა და აშშ-ის მიმართ პრეზიდენტ პუტინის განცხადებებს და პრეტენზიებს გავისწავნებთ, ცხადი გახდება, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებმა ჯერ შედეგი ვერ გამოიღო. ვითარებაში, როცა რუსეთი რელიურად დაინყვებს აფხაზეთის ანექსიას, საერთოდ როგორი უნდა იყოს ამ პროცესზე ოფიციალური თბილისის რეაქცია და პასუხი? ანუ, სამივე მიმართულებით — საერთაშორისო თანამეგობრობის, რუსეთისა და საკუთრივ აფხაზეთის მიმართ. ასეთ შემთხვევაში რა მკაფიო, ეფექტური და არა კონტრაროდუქტიული სიგნალები უნდა მიიღოს დასავლეთმა, მოსკოვმა და სოხუმმა ოფიციალური თბილისისაგან?

— პრეზიდენტი პუტინი ძალიან კი ყოყმობს, მაგრამ რუსეთში რომ კარგად არ მიდის საქმე, ფაქტია. რუსული რუბლი ყოველდღე ეცემა, ასევე ეცემა ნავთობის ფასი, რუსეთიდან კაპიტალი გარბის, მნიშვნელოვნად იკლო ნავთობისა და გაზის ექსპორტმა, რომლითაც ძირითადად ყალიბდება რუსეთის ბიუჯეტი. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებმა რუსეთი საკმაოდ დააზარალა. ასეთ ვითარებაში, აფხაზეთმა უნდა განსაზღვროს, რა არის მათთვის უკეთესი, შეინარჩუნოს თითოეული ფაქტორი და მეგობარ საქართველოს სახელმწიფოსთან დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკება რეინტეგრაციის შესახებ, ან აყენონ რუსეთს წარმოდგენილი ხელშეკრულების განხილვაში და სამუდამოდ აღმოჩნდნენ იქ, სადაც მათი იდენტობის შენარჩუნებას პერსპექტივა სულ მალე აღარ ექნება.

ჩემი ინფორმაციით, სოხუმის დე ფაქტო ხელი-სუფლები საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩირიკბამ ლონდონში გამართულ შეხვედრაზე გამოთქვა სურვილი საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დასაწყებად. რა თქმა უნდა, ამისთვის მან რამდენიმე წინაპირობა დაასახელა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლებიდან არანაირი წინადადება არა გვაქვსო. მე ვსაუბრობ სოხუმის სახელით, მაგრამ თბილისის სახელით არავინ არ ლაპარაკობსო. სხვათა შორის, ეს ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. სერიოზულად საფიქრალი იმაზე, თუ რას ვთავაზობ ჩვენ მათ და როგორ ვთავაზობთ. ამ წინადადებების შესაბამისად უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელმაც ამ საკითხზე სერიოზულად უნდა იმუშაოს.

რაც შეეხება რუსეთისა და დასავლეთისთვის გასაკეთებელ გზავნილებს?

— თუ რუსეთმა ნგრევა დაიწყო, რუსეთი საფრთხე იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. როგორც კი პუტინი დაინახავს, რომ რუსეთის ეკონომიკაში დაიწყოს რეკონსტრუქციის პროცესები და „ტიტანიკი“ იძირება, იგი აუცილებლად წავა უკრაინაში დაწყებული პროვოკაციის მსგავს პროვოკაციაზე. ჩემი აზრით, მან უკრაინაში უკვე აშკარად წააგო. მერკელის ჩათვლით უკრაინის საკითხში რუსეთთან მიმართებაში ისეთი ერთსულოვნებაა, რომ კრემლი იძულებული იქნება, ამას ანგარიში გაუწიოს.

ჩვენ რუსეთს იმაზე მეტს ვერაფერს ვეტყვი, რასაც ვუბნებთ. ვუბნებთ მოახდინე დეოკუპაცია, მოციქნეთ გამოსავალი დე ფაქტო რეჟიმების სტატუსთან დაკავშირებით. მათი პასუხი ასეთია — თქვენსა და რუსეთს შორის საზღვარი გადის მდინარე ენგურზე და ახალგორის რაიონზე. ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს თუ ხელს სერიოზული პრობლემები დაიწყება, ამაზე რუსეთში ხმაბალი არ საუბრობენ. რუსეთმა მიიღო კანონი სეპარატიზმთან ბრძოლის გამკაცრების შესახებ, მაგრამ თუ რუსეთში ვითარება აირია, არა მგონია, მათ ამ კანონმა უშველოს.

ჩვენ ყველა დონეზე უნდა გავაპროტესტოთ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკა და იურიდიული ხრიკები. „აგრესიული დიპლომატია“ ამას ნიშნავს, ანუ ინტენსიურ და შემტევ დიპლომატიას. ალასანიას ტერმინი „შემტევი“ რომ ესმარა, „აგრესიული“ ნაცვლად, ბევრს არაფერს შეცვლიდა. ადრე, მეც ვსაუბრობდი „აგრესიულ სამშვიდობო პოლიტიკაზე“. შესაძლოა, ბევრს ნონსესადაც მოეჩვენოს, მაგრამ ამას გამგები კარგად გაიგებს.

— ბევრი გამოთქვამს მოსაზრებას თბილისსა და სოხუმს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების აუცილებლობაზე. იდეა ახალი არ არის, მაგრამ ძნელი საგარაუდოა, რომ მოსკოვმა ქართველი და აფხაზი მომლაპარაკებლები ერთი ერთზე დატოვოს, თუნდაც ეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და დე ფაქტო პრეზიდენტი რუსულ საჯარო იყოს. მეორე პრობლემა გახლავთ ის, რომ სოხუმის წარმომადგენელი, თუ ასე-

თი შეხვედრა მართლაც შესაძლებელი გახდა, ოფიციალური თბილისის წარმომადგენელს იმავე მოთხოვნებს წაუყენებს, რაც მათ აქვთ, კერძოდ, — აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, თავდაუსხმელობაზე შეთანხმების ხელმოწერა, დევნილები მხოლოდ გალის რაიონში დაბრუნდებიან და ასე შემდეგ. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე მინც რა იქნებოდა ქართული მხარის საუკეთესო პასუხი რუსეთზე გაღიზიანებული აფხაზებისთვის?

— ჩემი აზრით, აქ ჩვენი პოზიცია უნდა იყოს ასეთი — მიუხედავად იმისა, რაც მოხდა წარსულში, რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ მზად ვართ, ვიმსჯელოთ ჩვენს შორის არსებულ პრობლემურ საკითხებზე. ახლა, ვიდრე მოსკოვსა და სოხუმს შორის ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ეს ნაკლებად შესაძლებელი იქნება, ვინაიდან მასში წერია, რომ საგარეო პოლიტიკაში აფხაზეთი მოსკოვის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს. ეს პრაქტიკულად ახლაც ასეა.

„წითელ ხაზზე“ აქ დეტალურად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ უდავო ერთი რამ არის — ლაპარაკ-

ლაპარაკებები აფხაზეთს წლების განმავლობაში გვერდებს პოპულარული, პიღრა მოსკოვი სოხუმს სთავაზობს

კი შეიძლება მხოლოდ აფხაზეთის საქართველოს საზღვრებში რეინტეგრაციაზე, ეთნიკური აზროვნებისთვის მაქსიმალურად მომგებიანი პირობებით, როგორც ეს მოხდა 1991 წელს.

დრონი მეფობენ და არა მეფენი. არავის ეგონა რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ახლა ვხედავ, რომ რუსეთი თვითონ დაშლის პირასაა, მოვესწრები თუ არა მე ამას, არ ვიცი. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მესიჯი უნდა იყოს - აფხაზეთის სტატუსი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაბრუნდებიან ლტოლვილები და გადაადგილებული პირები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი აფხაზეთის სტატუსზე. შერიგების მინისტრს მიაჩნია, რომ ჩვენ უნდა დავივლით აფხაზეთის სტატუსი და მერე ვილაპარაკოთ დევნილთა დაბრუნებაზე — ეს არის ლაპარაკი! ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ აფხაზებს უნდა მიეცეს უფლება გადანიშნული აფხაზეთის სტატუსი, განა დევნილ ქართველებს იგივე უფლება არ უნდა ჰქონდეთ? 1991 წელს სწორედ აფხაზი და ქართველი მოსახლეობის ერთსულოვანი სულისკვეთებით, აფხაზეთის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა რევილუციური შესწორებები.

მე გავიხსენებ ვარ, რომ ვახტანგ ყოლბაიამ, რომელსაც საკმაოდ კარგად ვიცნობ, თავისი ბრძანებით თბილისში მოქმედ აფხაზეთის მთავრობაში გააუქმა კონფლიქტის მონესრიგებასა და შერიგებაზე მომუშავე დეპარტამენტი. აბა, რისთვის არსებობს ეს მთავრობა საერთოდ? თუ მინცდამინც აფხაზეთის სტრუქტურების შემცირებაზე საუბარი, სხვა რამ გაუქმებინა. არ მინდა მისი პოლიტიკური პარტიის შესახებ რამის თქმა, მაგრამ ეს ნაბიჯი რომ აბსოლუტურად გაუგებარია, ფაქტია. რა, გადავიფიქროთ აფხაზეთთან შერიგებაზე ფიქრი და ამ პროცესში დევნილთა მონაწილეობა? ეს ნაბიჯი ხომ მხოლოდ რუსეთს გაუხარდებოდა. აფხაზეთში ქვეყანა იქცევა და თბილისში მოქმედი აფხაზეთის მთავრობა ხმას არ იღებს. სხვათა შორის, მე ამას ასე ვარდობები და ამ თემაზე სერიოზულად უნდა ვილაპარაკო. ეს აფხაზეთის მთავრობის მხრიდან ლაპარაკის ტოლფასი ქმედება!

— კარგად ინფორმირებული თუ გათვინცნობიერი ბული ადამიანებისგან ხშირად მსმენია, რომ საქართველო აფხაზეთთან მიმართებაში კონფედერაციის შექმნას ვერ ასცდება. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრემლი აფხაზეთში გააქტიურებით აფხაზებსაც და ჩვენც რაგებივებს ამგვარი კონფედერაციის შექმნისკენ? რაც, შესაძლოა, აღმოჩნდეს საქართველოს საგარეო ვექტორის იძულებით, მაგრამ მინც თითქოს ბუნებრივად შეცვლის საფუძველი? თუ მინც ყველაფერი იმას ჰგავს, რომ რუსეთმა აფხაზეთის ანექსია საბოლოოდ გადაწყვიტა?

— სიტყვა კონფედერაციის გამო მე ჟენევის პროცესის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრებზე 1990-იანი წლების დამლევს 2 წლის განმავლობაში არ ველაპარაკებოდი ბორის პასტუხოვს. მაშინ მიმტკიცებდნენ, რომ კონფედერაცია არის ძალიან კარგი გამოსავალი. კონფედერაცია გახლავთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, რომელშიც ქვეყნები ან სამხედრო სფეროში, ანაც საგარეო ურთი-

ერთობების სფეროებში ერთიანდებიან, მაგრამ მასში შემავალი ქვეყნები რჩებიან სუვერენული. საერთაშორისო ასპარეზზე მათ შეუძლიათ, გააუქმონ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები. ერთიანი მოქალაქეობა არ არსებობს. აშშ-ში 11 შტატმა შექმნა კონფედერაცია, მაგრამ ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებელი რჩებოდნენ. თუ აფხაზეთმა ხელი მოაწერა რუსეთთან ხელშეკრულებას, რომელზეც არის საუბარი, აფხაზეთი კონფედერაციისადაც ვერ შექმნის ვერავისთან. პრაქტიკულად, იგი მეორე სახელმწიფოს დანამატი იქნება. კონფედერაციის წევრი სახელმწიფო არავისზე დამოკიდებული არაა.

— კონფედერაციაზე კითხვა იმ თვალსაზრისითაც დავსვი, თუ რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მოსკოვმა სოხუმთან გახმაურებული შეთანხმების გაფორმების შემდეგ პრაქტიკულად იმდაგვარივე შეთანხმების გაფორმება საქართველოს შესთავაზოს?

— არა, რუსეთი ჩვენ ამას იმიტომ არ შემოგვთავაზებს, რომ კარგად ესმის, თბილისში იდოტები არ არიან. საქართველოს საკმაოდ კარგი სპეციალსტები ჰყავს, რომლებმაც კარგად იციან, თუ რა არის კონფედერაცია.

— კარასინ-აბაშიძის დიალოგის ფორმატზე ბევრი კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა. ამ საკითხზე თქვენი აზრი როგორია?

— ამ ფორმატთან დაკავშირებით მე თავიდანვე მქონდა ეჭვები. კარასინი ტიპური რუსი მაღალჩინოსანი მოხელეა, რომლის გონებაში საქართველო რუსეთის „ურჩი შვილია“ და ადრე თუ გვიან დაბრუნდება. აბა, დააკვირდით, იგი ყოველი შეხვედრის შემდეგ როგორი ტერმინებით აპელირებს. როდესაც მას კონკრეტულად თემებზე უსვამენ კითხვას, რასაც ის ლაპარაკობს, პირადად ჩემთვის, შეურაცხყოფლია და თუ ამას ჩემს გარდა თბილისში ვერავინ ამჩნევს, კარგად გვექონია საქმე. მიმანია, რომ ამ თემაზე აბსოლუტურად სწორი განცხადება გააკეთა ბატონმა თეოდორე ჯაფარიძემ, — როდესაც ყირიმში კრიზისული ვითარება იყო, კარასინმა აბაშიძესთან შეხვედრა გადადო. შექმნილ ვითარებაში ჩვენც უნდა გვექნა. ეს რა უნდა აფხაზეთში თქვენი მოქმედების გამო ვერ შედეგება და ჩვენ უნდა ჩამოყალიბდეთ და გადავწყვიტოთ — გავაგრძელოთ თუ არა ამ ფორმატში დიალოგი. ეს არის შემტევი პოლიტიკა.

რაც შეეხება ჟენევის ფორმატს, ჩვენ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუშვათ ხელიდან. სხვათა შორის, თავის დროზე მე ჟენევის პროცესში 10 წელი ვმონაწილეობდი და ბევრი რამ გვაკეთდა. ახლანდელი ფორმატი სხვაა, მაგრამ ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, კიდევ როგორ შეიძლება არსებული ფორმატის გაძლიერება. არა მარტო ჩვენი, არამედ აფხაზების და ოსების პოზიციის გაძლიერება იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მუდმივად რუსების მარიონეტები არ იყვნენ.

სხვათა შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში ქართული მხარე სულ სულგრძელობას იჩენდა — ეს ეხება როგორც გამსახურდიას, ისე შევარდნაძის და ასევე სააკაშვილის მმართველობას. მაგრამ სეპარატისტებმა არაფრის გაგება არ მოინდომეს, ახლა კი არიან იმ მდგომარეობაში, რომელშიც არიან. ყოველთვის ვასწავნებ აფხაზ საზოგადოებას იმას, რაც აფხაზეთის მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ მოთხროა — „ვიცი, რომ ჩვენ ისტორიულად განწირული ვართ ვიცხოვროთ საქართველოში, მაგრამ ვცდილობთ, საკუთარი თავი რაც შეიძლება მეტ ფასად მოვიყიდოთ.“ გულსიმობდა ავტონომიის გაზრდას (ალსანიშნავია, რომ აღნიშნულიდან მცირე ხანში იგი მოკლეს). ამაზე მე, ყოველთვის თანახმა ვიყავი და ჩემს წინადადებებში, რომელიც გაეროში გავავრცელებ, საკმაოდ ბევრი უფლებები ჰქონდა მინიჭებული ეთნიკურ აფხაზებს იდენტობის განმტკიცებისთვის, მაგრამ აფხაზეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის ფართო კომპეტენცია, მათთვის ესეც მიუღებელი იყო, რადგანაც პრეამბულაში ეწერა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს საზღვრებში „სუვერენული წარმონაქმნის სტატუსის მქონე“.

ვიმეორებ, ხელისუფლება ამ თემაზე უნდა დაფიქრდეს. უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამ თემაზე სერიოზულად იმუშავებს. გული მიკვდება, როცა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე შევხედავარ. ამ გვერდზე ნახავთ მხოლოდ ძველ, ნაკლებად ახალ დოკუმენტებს, მაგრამ ვერ ნახავთ ანალიტიკურ შეფასებებს, კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო წინადადებებს და ა.შ. ნახავთ მხოლოდ იმას, თუ ვის შეხვდა მინისტრი, ან მისი მოადგილე. ვის აინტერესებს, ვინ ვის შეხვდა?! ჩვენი მიზანია, გვექონდეს შემოქმედებითი პოლიტიკა, რომლის მიზანია, არა უშეზღუდვად აჩვენოს დე ფაქტო რეჟიმებს, რამდენად სწორი იყო ზურაბ აბაშიძის თემაზე და რა უნდა გავკეთდეს ამ პლატფორმის ხორცშესხმისთვის.

კობა გენდელიანი

დედაიწინი ზურგზე



ჩინეთი კლავ ითმისებს ანტარტიკას — აპირებს, ააშენოს აპროდრომი თაშისი სამეცნიერო სადგურ-რამისათვის

ახალმა ობიექტმა უნდა გადაწყვიტოს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიის გადატანასთან სადგურზე, რაც, როგორც ელოდებიან, დაეხმარება მათ, დააქარონ სამეცნიერო კვლევები სამხრეთ პოლუსზე. პეკინის ყურადღება ანტარტიკისადმი ახსნება იმ დიდი მარაგებით, რომლებიც არის მის ყინულებში ენერგორესურსების სახით. ჩინელებს არქტიკაც აინტერესებთ.

ბუდაპეშტში კვლავ გრძელდება პრემიერის ინიციატივა გადამსახურების შემოღების წინააღმდეგ



მასობრივი დემონსტრაციები ინტერნეტზე გადასახადების წინააღმდეგ, რომელსაც ვიქტორ ორბანის მთავრობა აპირებს, შეიყვანოს ძალაში უკვე 2015 წლიდან, გრძელდება უნგრეთის დედაქალაქში. მასშტაბით უფრო მცირე აქციები მიმდინარეობს ქვეყნის ქვეს სხვა ქალაქში. „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ეს მოხდეს“, გაიძახოდნენ მანიფესტანტები. ოპოზიციამ მოუწოდა პრემიერს, მალე გადასინჯოს სკანდალური კანონპროექტი.

კიევი, რომელიც დონეცსკის არჩევნების წინააღმდეგაა, არღვევს მინსკის შეთანხმებას, ამბობენ პრემიერს



წყარომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურებში განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმების გამოუქვეყნებელი დანართი წერილობით აფიქსირებდა დროებით შუამდგომლობას, რომლის დროსაც უნდა მოხდეს დონეცსკის ადგილობრივი არჩევნები. თანაც, 2 ნოემბერი ამ ინტერვალში ხვდება, თარიღი 7 დეკემბერი, რასაც კიევი დაჟინებით მოითხოვს, — არა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უარყო სახმარეთი კორეის წინააღმდეგ — გაბარდონ მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე

სამხრეთი კორეის გაერთიანების სამინისტროს ცნობებით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტმა სულში გაგზავნა ფაქსი, რომელშიც გაიმეორა თავისი პროტესტი ჩრდილოეთის მიმართულებით საპაეო ბურთების გაშვების წინააღმდეგ, რომლებიც შეიცავენ ფურცლებს ფხენიანის რეჟიმის კრიტიკით.





ყენია და რაისა, ამ უკანასკნელის სიტყვებით, ბავშვობაში ისინი ძალიან ახლოს იყვნენ.

იყო მოენახათ „ჩეკისტები“, რომ გაფრთხილებოდნენ მკურნალობის დროს კარგ სანატორიუმში? ეს იქნებოდა პატიოსნება. აქ კი თავი დაიცვეს არახელსაყრელი ადამიანისაგან. დიახ, ის ავლენდა სისუსტეს. მაგრამ სულით ავადმყოფი ის არ ყოფილა.

რაისა მაქსიმის ასულს კი ერჩია, გაეგო ამბები ძმის შესახებ პარტიის ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის იგნატოვის მეშვეობით.

იმას, თუ რას უკეთებდნენ ევგენი ტიტარენკოს, ძნელად რომ უნოდო მკურნალობა. მისი მდგომარეობა წლითწლით უარესდებოდა. დაახლოებით 1989 წლიდან ტიტარენკო საბოლოოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. ოფიციალური დიაგნოზი – თავის ტვინის ორგანული დაზიანება, ალცჰეიმერის დაავადება. თავდაპირველად მწერალი მოათავსეს ძალიან კარგ პირობებში: ცალკე პალატა, მაცივარი. მასთან მიდოდნენ ამხანაგები ლიტერატურული სა-

ამქროდან, მაგრამ თანდათანობით საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ ვიზიტები... შეწყვიტა. თავად რაისას, როგორც ხელისუფლების სათავეში მოსულ მის ქმარს, ერთხელაც არ უნახავს ავადმყოფი. სამაგიეროდ, გორბაჩოვის მეუღლემ მთელ ქვეყანაში მას სახელი გაუთქვა თავის

წმუნებულა, რომ კი. ევგენი ტიტარენკო მეგობრებისა და ნაცნობების სიტყვებით, მართლაც სვამდა, მაგრამ სულაც არა გამოუფხიზლებლად: ყოველ შემთხვევაში, ეს მას მუშაობაში ხელს არ უშლიდა.

– ხანდახან ჩვენ ერთად ვმოგზაურობდით ოლქის რაიონებში და გამოვდიოდით სიტყვებით მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს საზიო, – ამბობს ევგენი ნოვიჩინი. – დღეში 3-4 შეხვედრა გვქონდა – კლუბებში, ფერმებში, სკოლებში. და ყველგან სტუმართმოყვარე მასპინძლები არიან, იშლება სუფრები. ჟენია დალევდა ერთ სირჩას, იშვიათად – ორს. იცოდა, რომ ხვალ ისევ მოუწევდა გამოსვლა და მეტის დალევა არ შეიძლება. ასე რომ, საცნობარო შედეგად, თავის შეკავება. „ალკოჰოლის ისეთი მოყვარულები“, როგორც იგი იყო, ძალიან ბევრია. მაგრამ, როგორც ჩანს, მალალ ნათესავეებს არ სურდათ, რომ მათი კომპრომეტირება მოეხდინათ.

გაისად ევგენი ტიტარენკოს 80 წელი უნდა შეუსრულდეს. საავადმყოფოში გატარებული წლების განმავლობაში პრივილეგირებული მდგომარეობიდან კვალაც არ დარჩენილა – ცხოვრობს საერთო პალატაში, ყველასაგან მიეწყებულა, წვერმოშეებული ბერიკაცია.

მასთან არავის უშვებენ. მასთან შემთხვევითი შეხვედრის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ მას სულაც არა აქვს უგუნურის გამოხედვა. უფრო სწორად, მან შესანიშნავად იცის, რომ გახდა სიტუაციის მსხვერპლი: ის უბრალოდ დაუმაღლეს ხალხს. ის ხომ საცნობარო შეიძლება ყოველივე მოწმე რაღაც საიდუმლოებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო გორბაჩოვის სახელმწიფო მწვერვალზე ასვლასთან. წარმოაჩინო კი ადამიანი ალკოჰოლიკად – ყველაზე იოლია.

ზოია გაბოვეას არ უნახავს თავისი ყოფილი ქმარი, 20 წელზე მეტია. თავის დროზე პარტიის საოლქო კომიტეტში მას დაჟინებით ურჩევდნენ, არ დაინტერესებულიყო მისი ბედი. ორლოვკაში ჩასვლისა მას ახლაც ეშინია.

– ჩემ ქალიშვილსა და მე აგვიკრძალეს იქ გამოჩენა, – აღიარა ზოია მისოსტის ასულმა გაბოვეამ ტელეფონით.

### სული ზინა

მინც რატომ ჰყავთ ევგენი ტიტარენკო, ეს 30 წელია, კარს მიღმა? საიდუმლო ხომ არაა, რომ ასეთი საავადმყოფოები ყოველთვის გადავსებულია, იქ სამკურნალოდ დიდი ხნით ვინმეს მოთავსება არც ისე ადვილია. ნუთუ ვიღაც, დღემდე ინახავს მაღალი რანგის წველის ნათესავის საიდუმლოს? თუმცა, ყველაფერი შეიძლება გაცილებით პროზაული იყოს. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტიურად დადის ხმები მწერლის სახლთან დაკავშირებული მაქინაციების შესახებ, რომლებიც გამოიძიებაში ამჟამადაც.

შეძლებს განა ეს 30 წლით დაგვიანებული შემონახვა, თუნდაც ოდნავ მაინც რომ ასწიოს ამ საოჯაო საიდუმლოების ფარდა? და რითი შეიძლება დაეხმარო დღეს მწერალს, რომელიც, უეჭველია, უცილობლად შეიცვალა ამ წლებში? ჯერჯერობით კი ცნობილია ერთი რამ: უნიჭო ხელისუფლებამ დაამსხვრია ნიჭიერი ადამიანის ბედი – ისევე, როგორც დაამსხვრია მისი მილიონობით თანამემამულის ბედისწერა.

იური გოლუაი.



რაისა მაქსიმის ასული და მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი სტავროპოლში. 50-იანი წლების ბოლო. იმ პერიოდში ევგენი რაისას მხოლოდ დაიქოს ეახლა, მაგრამ მხოლოდ ანაშობა, სანამ მას ორლოვკაში ბანაკშია.

# რატომ ჰყავთ რაისა გორბაჩოვს ძმა საბიუთოში?



ევგენი ტიტარენკო მოსკოვში. დაქვარა ბავრი სანტარესო ნიხნი.

მოგონებებში: „ძმა – ნიჭიერი ადამიანია. მაგრამ მის მონაცემებს არ ეწერათ გამართლება. მისი ნიჭი მოუთხოვარი და დაღუპული აღმოჩნდა. ძმა სვამს და მრავალი თვის განმავლობაში საავადმყოფოშია. მისი ბედისწერა – ეს დედისა და მამის დრამაა. ეს ჩემი მუდმივი ტკივილია, რომელსაც გულით ვატარებ აი, უკვე 30 წელია. მწარედ განვიცდი ამ ტრაგედიას, მით უმეტეს, რომ ბავშვობაში ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით, ჩვენ შორის ყოველთვის იყო განსაკუთრებული სულიერი კავშირი და სიყვარული... მეტად მიძეა და მტკივნეული“. ერთი სიტყვით, ცოცხლადვე დამარხა, არადა, ეს სტრიქონები გამოქვეყნდა 1991 წელს – მწერალთა კავშირიდან ტიტარენკოს ამხანაგების სიტყვებით, არავის არ მიაჩნდა მამის იგი დაღუპულ ადამიანად.

სსრ კავშირის ყოფილი პრეზიდენტიც საჯაროდ არაერთხელ დასტორდა ცოლისძმას – უწევდა, პასუხი გაეცა უურნალობის შეკითხვებზე. მაგრამ გორბაჩოვის მრავალსიტყვაობის უკან სიცარიელე იმალებოდა. მას ხომ შეეძლო, გაეგზავნა ნათესავი სამკურნალოდ სოლიდურ კლინიკაში – ცოტა ხდებოდა ასეთი?! შეეძლო, მაგრამ თითქმის არ გაუძნრევია...

თავისი ბედისწერა ტიტარენკომ მშვიდად მიიღო. ის ყოველთვის წყნარი და მშვიდი ადამიანი იყო. არ უნდოდა ხმაური აეტეხა, ელაპარაკა თავის დაზე.

– ბატონი ევგენი რაისას მხოლოდ დაიკოს ეძახდა, – იხსენებს ევგენი ნოვიჩინი. – მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ მას ორლოვკაში განაწესებდნენ. ამის შემდეგ მას საერთოდ აღარ სურდა მასზე საუბარი.

## „ალკოჰოლის ასათი მოყვარული ბავრია“

შეიძლება მწერლის ბედი სხვაგვარად აწყობილიყო? უმრავლესობა მათ შორის, ვისთანაც მოგვიწია შეხვედრა, დარ-

საბავშვო მწერალ ევგენი ტიტარენკოს წიგნებს მთელი თაობა კითხულობდა. შეიძლება, ახლაც ეკითხებათ, მაგრამ მწერლის უკანასკნელი მოთხრობა 30 წლის წინათ დაიწერა.

ავტორი დღესაც ცოცხალია, თუმცა მისი მეგობრებიც კი მასზე წარსულ დროში საუბრობენ. მას შემდეგ, რაც ხელი-სუფლებას მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა, მისი ცოლისძმის სახელი ფსიქიატრიული საავადმყოფო გახდა ვორონეჟის დაბა ორლოვკაში. და ძნელია, წარმოიდგინო უფრო საშინელი ბედისწერა.

### მოგზაურობათა რომანტიკა

ევგენი ტიტარენკოს სახელი ცნობილი გახდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მისი სიძისა და ლეილი დისა. მისი წიგნებიდან ყველაზე ცნობილი – „ადმირალ-გენერალისიშუსის და წყალზე, ხმელეთსა და მიწის ქვეშ მისი შტაბის უფროსის აღმოჩენები, ომები და მოგზაურობანი“ – ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწერა.

ევგენი მაქსიმეს ძე თავად იყო წყალზე, მიწისქვეშა. თავგადასავლებზე მეოცნებე ჭაბუკმა ციმბირის სოფლიდან ყველაზე რომანტიკული პროფესია აირჩია – როდესაც სკოლა დაამთავრა, შევიდა ლენინგრადის იარაღის საინჟინრო სამხედრო-სახლავაო სასწავლებელში.

შემდეგ იყო იმიერპოლარეთი, ჩრდილოეთის ფლოტი, მუშაობა უროსმცემლად დონბასში და, ბოლოს, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. აქ სტუდენტი ტიტარენკო წერს რომანს „ჩამონგრევა“ შახტში ავარიის შესახებ. მის გამოქვეყნებაზე უარი თქვეს ისევე, როგორც რომან „მამაკაცსა და დედაკაცზე“. მას შემდეგ მოზრდილებისთვის ევგენი აღარაფერს წერდა, სამაგიეროდ საბავშვო მოთხრობებმა – „ოთხი ბაზრის მოედნიდან“, „ნიკოლოსის ტბა“, „ომის კანონები“, „გაბოიგონე სინაზე“, „სამყაროს პატარა ნაწილაკზე“ – ნორჩთა აუდიტორიის აღფრთოვანება დაიმსახურეს, ისინი ხომ ყველაზე მნიშვნელოვან რამეებს ასწავლიდნენ: მეგობრობას, მამაცობას, საზრიანობას.

1964 წელს ევგენი ტიტარენკო მეუღლესთან, პოეტ ზოია გაბოვეასთან ერთად გადასახლდნენ ვორონეჟში. მაგრამ საოჯახო ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. ეტყობა, თავი იჩინა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებამ. დღეს მწერლის ყოფილი ცოლი და მისი ერთადერთი ქალიშვილი ირინა მოსკოვში ცხოვრობენ.

კოლეგების მოგონებებით, ტიტარენკო დიდად არ ტრახახობდა სიძით – მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვით, რომელიც მაშინ სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, თუმცა, ზოგჯერ ეხმარებოდა მეგობრებს, წასულიყვნენ ურორტზე. სამაგიეროდ, როდესაც გორბაჩოვი დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, იმის შესახებ, რომ მწერალი – სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ცოლისძმა, ვორონეჟში ლამის ყველამ გაიგო.

### მოუხერხებელი ადამიანი

სხვათა შორის, ტიტარენკოს ბედისწერაში ნათესავის დანიწურებამ საბედისწერო როლი შეასრულა. მას არ უყვარდა თავის პიროვნებაზე საუბარი, მაგრამ, როგორც ჩანდა, ურთიერთობამ ოჯახში გაუარესება დაიწყო. და საქმე სულაც არაა ის, რომ მწერალი ცდილობდა გამოეყენებინა თავისი კავშირები.

– ტიტარენკო არასოდეს არაფერს სთხოვდა რაისა მაქსიმეს ასულსა და გორბაჩოვს, – დარწმუნებულია მწერალთა კავშირის ვორონეჟის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი ევგენი ნოვიჩინი. – ერთხელ ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორმა ევგენი სინიციმა დამირეკა და მითხრა, რომ მისი მეობარი კინემატოგრაფისტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ეძებენ ევგენის, სურთ გადაიღონ ფილმი მისი ერთ-ერთი წიგნის მიხედვით. მე შენას ყველაფერი ვუამბე. მან კი, დაუფიქრებლადვე მიპასუხა: „იცი, ამაზე არასოდეს დავთანხმდები. მათ ხომ მე კი არ ვაინტერესებ, არამედ გორბაჩოვი. მისგან მე არანაირი დიდება არ მჭირდება“. არადა, მწერლების უმრავლესობა როგორ „ჩააფრინდებოდა“ ამ იდეას!

ტიტარენკოს სიმთვრალის პერიოდში აგზავნიდნენ ხოლმე ორლოვკაში 1985 წლიდან.

– ჩვენ კარგი კონტაქტები გვქონდა საავადმყოფოს ყოფილ მთავარ ექიმთან ქსენია თუმანოვასთან, – ამბობს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ვორონეჟის ოლქის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე ანატოლი ნიკიფოროვი. – პირადად მე მიმაჩნია, რომ უზნეობა ასე დიდხანს გყავდეს ნათესვი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ნუთუ ძნელი

აზაზი

ქიციბაია დააფასეს


კვიპროსის მეორე დივიზიონის კლუბ „ენადის“ წარმომადგენლებმა საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ფაბრიკატორი „ანორთოსისის“ ყოფილი პრეზიდენტი ახილეს ნიკოლაუ დავაილიძე.



კობა კობახიძე

ჭიდაობა

უსპი ნადავლით



თურქეთის, საქართველოს, რუსეთის, ირანის, უნგრეთისა და ყირგიზეთის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ 18-წლამდე გრძელ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორისო ტურნირში „რესპუბლიკის თასზე“.

ბიჭებმა, რომლებმაც რვა წონითი კატეგორიიდან ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

კვარცხლებეის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ირაკლი შავაძე (55 კგ), გელა ბოლქვაძე (74 კგ), ნიკოლოზ კახელაშვილი (96 კგ) და ზვიად პატარაძე (120 კგ), რომლებმაც ფინალში, შესაბამისად, რუს არტემ პაშმენკოს, ყირგიზ ესენ ასანოვს, რუს მურატ ლოკიაევს და თურქ დურგუნ ოგუშანს სძლიეს, ბაკურ გოგოლი (66) კი რუსეთის ნაკრების ნეერ გარიკ გიულუმთან დამარცხდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 60 ქულით მასპინძლებმა გაიმარჯვეს. 53 ქულით მე-2 ადგილი საქართველოს ნაკრებმა დაიკავა.

ლემსო ცინცაძე

სურათში: ნიკოლოზ კახელაშვილის ფინალური პაექრობა.

ჭაღრაპი

მესამე საფეხურს იწარჩუნებს

უზაპეატიის დედაქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს გრან პრის გათამაშების მე-2 ეტაპის მე-7 ტურის შეხვედრებში დაზავდნენ მაქსიმ ვაშიე - ლაგრაჟი (საფრანგეთი) - ბაადურ ჯობაჯა, რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) - ჰიკარუ ნაკამურა (აშშ), თემურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) - შაპრიარ მამედიაოვი (აზერბაიჯანი), დემეტრი იაკოვენკო (რუსეთი) - დემეტრი ანდრეიკინი (რუსეთი).

შედი ტურის შემდეგ: ანდრეიკინი, ნაკამურა - 4,5-4,5, ჯობაჯა, ვაშიე - ლაგრაჟი, მამედიაოვი - 4-4, კარიაკინი, იაკოვენკო, კარუნა, რაჯაბოვი - 3,5-



3,5, გირი - 3, კასიმჯანოვი, გელფანდი - 2-2 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა. ლაშა დიდი

მასპინძლებმა ოთხი მედალი დაიბრუნეს

ბათუმში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 45 ქვეყნის 1000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოდან - 140 ქალ-ვაჟი. ოთხმა მათგანმა სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 18-წლამდე გოგონებში ნატო იმნაძემ 7 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. 8 ქულით პირველი იყო ულვია ფატალიევა (აზერბაიჯანი). ამ ასაკის ვაჟებში ქართველთაგან კვარცხლებეს ვერავინ უნია, ხოლო 7,5 ქულით ჩემპიონობა ავიტალ ბორიოვსკის (ისრაელი) ერგო.



16-წლიანებში ჩვენებურთაგან ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გიორგი სიბაშვილმა (7 ქულა) და ნინო ხომერიკმა (7 ქულა). პირველ ადგილებზე თურქი ქენ ქემილი ალი მარანი (7,5) და ესტონელი მაინარვა (7,5) გავიდნენ.

ბრინჯაოს მედალი 10-წლიანებში ნიკოლოზ კაჭარავამ მოიპოვა. 7,5 ქულით მან პირველი-მესამე

ადგილები სომეხ მამიკონ ლარიბიანსა და თურქ აჰმედ უზუმკუსთან გაიყო, თუმცა, უარესი კოეფიციენტი მესამეზე აღმოჩნდა. ამ ასაკის გოგონებში ჩემპიონი გახდა მალაკ ისმაილი (აზერბაიჯანი).

12-წლიანებში პრიზიორობის შანსი ჰქონდათ ანასტასია სიდამონიძესა და ნიკოლოზ პეტრიაშვილს,

მაგრამ ბოლო ტურში მათ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს და კვარცხლებეს მიღმა აღმოჩნდნენ. 8-8 ქულით ჩემპიონობა ეკატერინა გოლცევასა (რუსეთი) და ვიქტორ მატვიშენს (უკრაინა) ხვდათ.

დანარჩენ ორ ასაკში მედლები უჩვენოდ განაწილდა. პირველ ადგილებზე გავიდნენ: 8-წლიანებში - რუსები - ილია მაკოვეცი (9 ქულა) და ემილი ზავივაევა (7,5), 14-წლიანებში - რუსი ტიმურ ფახრუტდინოვი (7,5) და ბერძენი ანასტასია ავრამიძე (8,5).

სამი ვერცხლითა და ერთი ბრინჯაოთი საქართველოს მოჭადრაკეებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-9 ადგილი დაიკავეს. სულ მედლები 13 ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიმსახურეს: რუსეთი - 11 (4 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“, 4 „ბრინჯაო“), აზერბაიჯანი - 5 (2,1,2), სომხეთი - 3 (1,2,0), თურქეთი - 2 (1,1,0), საბერძნეთი - 2 (1,1,0), ესტონეთი - 2 (1,0,1), უკრაინა - 2 (1,0,1), უკრაინა - 2 (1,0,1), ისრაელი - 1 (1,0,0), საქართველო - 4 (0,3,1), იტალია - 1 (0,1,0), მოლდოვა - 1 (0,0,1), პოლონეთი - 1 (0,0,1).

თამაზ პატარაია

სურათში: მარცხნიდან - ნატო იმნაძე, გიორგი სიბაშვილი, ნინო ხომერიკი.

პატივგება

სამუშაო გულში ისუტებს

რომლოც სპორტის მოყვარულებს მოეხსენებათ, ლეგენდარულ ქართველ ფალავანს გურამ საღარაძეს მარტში 75 წელი შეუსრულდა.

ღირსეული მამულიშვილის, პლანეტის ორგანიზაციის პრეზიდენტისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის საიუბილეო თარიღს „ჩვეული ოპერატიულობით“ გამოეხმაურნენ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ და ამ დღეებში „რევაზოვის“ მშობლიურ ამბროლაურში მისი სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლეს თავისუფალ ჭიდაობაში 2000-2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

საყვარელი პიროვნება უამრავმა საპატიო სტუმარმა დააფასა, მათ შორის მთავრობის წევრებმა, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, ძველი გვარდიის ხალიჩის დიდოსტატებმა, საამაყო შთაბრძნელობამ, დაუფინყარი ღონისძიება კი ჯერჯერობით ერთადერთი რაჭველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის აღმზრდელის გურამ საღარაძის სახელობის ვარსკვლავის გახსნით დაგვირგვინდა.

დაგვეთანხმებით, სათანადოდ დაუხვდეთ 220 მონაწილეს, აგრეთვე რუსეთის, თურქეთისა და

სომხეთის გუნდებს, დიდ ძალისხმევას მოიხსოვოს, რასაც სამაგალითოდ გართულებს თავი რაჭველურების და ქვემო სვანეთის გუბერნიამ, ქალაქის მუნიციპალიტეტმა, მერიამ, საკრებულომ, საქართველოსა და ქვემო ქართლის ჭიდაობის ფედერაციებმა, შპს „ლემა“, ადგილობრივი ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ დირექტორმა ლევან ბარსონიძემ და ამბროლაურის კომპლექსური სპორტული სკოლის თავკაცმა ბონდო სარდანაშვილმა.

ჩემპიონთა გალერეა წონითი კატეგორიების მიხედვით ნიკოლოზ სანთელაძე, ბეჟან ბარსონიძე, გიორგი გოგრიჭიანი (სამივე ამბროლაური), ლუკა ჩხიტუნიძე, გიორგი ჭოლაძე (ორივე საჩხერე), ნიკოლოზ გოგრიჭიანი, ვლადიმერ გამყრელიძე, გიორგი ელბაქიძე (სამივე ამბროლაური), ბაგრატ გაგნიძე (ქუთაისი), გურამ კუნჭულია (აჭარა), გიორგი ჩანქსელიანი (ხონი), დავით თევორიანი (სომხეთი), დავით ქოჩიანი (თბილისი).

გუნდური ჩათვლა: ამბროლაური, გორი, ქუთაისი.

საუკეთესო მოჭიდავე: გიორგი ელბაქიძე.

ყველაზე ტექნიკური მოჭიდავე: გიორგი გოგრიჭიანი.

სპეციალური პრიზი: დავით ქოჩიანი.

გიორგი შოთაძე

ავტოსპორტი

ოუიამ ზადიზად მეორე ტიტული უსპანეთში გაინაღდა

ფრანში სებასტიან ოუიე ზედიზედ მეორედ გახდა რალიში მსოფლიოს ჩემპიონი. და ეს მან სეზონის დასრულებამდე ერთი ეტაპით ადრე უსპანეთის რალიზე გამარჯვებით მოახერხა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისმა გუნდმა „ფოლკსვაგენმა“ ზედიზედ მეორე ტიტული დაზავად გაინაღდა, ოღონდ ეს წინა ეტაპზე, ავსტრალიაში შეძლო.

უსპანეთში გამარჯვებით ოუიეს უპირატესობა უახლოეს მდევართან, ფინელ თანაგუნდელ იარი-მატი ლატვალასთან 31 ქულამდე გაიზარდა. დარჩენილ ეტაპზე მაქსიმუმ 28 ქულის აღებაა (25 გამარჯვებისთვის) და 3 ბონუსქულა სუპერ-სპეცმოწაკვეთის მოგებისთვის) შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლატვალას მეორე ადგილით დაკმაყოფილება მოუწევს.

უნდა ითქვას, რომ ოუიეს ასპარეზობის მეორე დღეს სერიოზული პრობლემა შეექმნა - დაზიანებული ბორბლით 20 კილომეტრის გავლამ მოუწია. თუმცა, ამის მიუხედავად, ლატვალას საბოლოოდ მაინც 11.3 წამით აჯობა და კარიერაში 23-ე გამარჯვება მოიპოვა. „ფოლკსვაგენმა“ ამ სეზონში მე-11 გამარჯვება (12 ეტაპზე) მოიპოვა, რითაც „სიტროენის“ 2005 და 2008 წლების რეკორდი გაიმეორა.

30 წლის ოუიე სულ მერვე მრბოლია, ვინც რალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ორჯერ ან მეტჯერ მოიგო. შეგახსენებთ, რომ ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს სებასტიან ლოებს, ვინც ჩემპიონი ცხრაჯერ გახდა. ოთხ-ოთხი ტიტული ფინელების - ტომი მაკინენის და იუჰა კანკუნენის ანგარიშზეა. ორ-ორჯერ ჩემპიონები იყვნენ: გერმანელი ვალტერ რიორლი, იტალიელი მასიმო ბიაზონი, ესპანელი კარლოს საინსი და ფინელი მარკუს გრონჰოლმი.

ვიტალი ჯაფარიძე



გიგანტები

მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების სიის შედგენისას უმთავრეს კრიტერიუმად კომპანიის წლიურ შემოსავალს მიიჩნევენ. როგორც წესი, ამ სიაში ყველაზე „ღარიბი“ დღეში დაახლოებით 550 მილიონი დოლარის მოგებას იღებს, ეს კი საათში 23 მილიონია. მართალია უმსხვილესი ქართული კომპანიების შემოსავალი ამ გიგანტებთან შედარებით მოკრძალებულია, მაგრამ შემოსავალს არც ისინი უჩივიან. ილიას უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა საქართველოს უმსხვილესი კომპანიების რეიტინგს ყოველწლიურად აქვეყნებს. გთავაზობთ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი 10 უმსხვილესი კომპანიის სიას, რაც 2013 წლის მარტიდან იმდენივე მსხვილია შედგენილი. სიაში საბანკო და სადაზღვევო სექტორი არ შედის და კიდევ – ამ კომპანიების უმრავლესობა სულაც არ არის ქართული, ისინი სხვა ქვეყნებში დაარსებული მსხვილი მოთამაშეების „შვილობილები“ არიან.

1. „სოკარ ჯორჯია პეტროლუმ“ – კომპანია აზერბაიჯანული „სოკარის“ შვილობილია – „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ დააფუძნა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. იგი საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე 2006 წლის სექტემბერში შემოვიდა. „სოკარ ჯორჯია პეტროლუმის“ ყოველთვიური ბრუნვა რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. კომპანიას 2006 წლიდან 2013 წლის ჩათვლით დაახლოებით 2 698 891 ტონა ნავთობპროდუქტი აქვს იმპორტირებული. „სოკარ ჯორჯია პეტროლუმის“ სწრაფად მზარდი კომპანიაა, მისი ავტოგასამართი სადგურების ქსელი თანდათან ფართოვდება მთელ საქართველოში. კომპანიაში ამჟამად

ჯიბა – „ვისოლ ჯგუფი“ ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესგგუფია საქართველოში, რომელმაც არა მხოლოდ ენერჯეტიკა, არამედ თითქმის ყველა სფერო მოიცვა – იგი სამშენებლო, სარეკლამო, სასტუმროების, სუპერმარკეტებისა და სწრაფი კვების რესტორნების ბიზნესსაც ავითარებს. „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი ბრენდებია:

10 უმსხვილესი „ქართული“ კომპანია

ყველაზე „ღარიბი“ დღეში დაახლოებით 550 მილიონი დოლარის მოგებას იღებს, ეს კი საათში 23 მილიონია



1500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

2. შპს „ტოიოტა კავკასია“ – ტოიოტას ოფიციალური დისტრიბუტორია კავკასიასა და შუა აზიაში. „ტოიოტა“ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ავტომანქანების მწარმოებელია და საქართველოშიც წარმატებით საქმიანობს. „ტოიოტას“ ისტორია XIX საუკუნეში იწყება, როდესაც საკიჩი ტოიოტა იაპონიაში პირველი ელექტროსართავი დაზგა გამოიგონა, რითაც ქვეყნის ტექსტილის წარმოებაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, ხოლო მისი შვილი კიჩირო ავტომობილების წარმოებით დაინტერესდა და 1937 წელს დააარსა კორპორაცია, რომელიც თანდათან გაიზარდა და ნამდვილ გიგანტად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ „ტოიოტამ“ გრძელი გზა განვლო სართავი დაზგებიდან – ავტომობილებამდე.

სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“, სწრაფი კვების რესტორნების ქსელი „ვენდი“, დეველოპერული კომპანია „ველაჯიო“ და სარეკლამო კომპანია „ალმა“. „ვისოლ ჯგუფი“ ერთადერთი ქართული ბრენდია, რომელიც 2010 წელს

ევროპის ბიზნეს დაჯილდოებაზე წარმატებულ ევროპულ კომპანიათა ათეულში შევიდა.

5. „ბიპი საბარტელო“ – „ტოიოტას“ მსგავსად, „ბრიტიშ პეტროლუმში“, ანუ „ბიპი“, ყოველთვის ხვდება არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების ათეულში. კომპანიის საქმიანობის სფეროა ნავთობი და გაზი. „ბრიტიშ პეტროლუმის“ სათავე ოფისი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში მდებარეობს. მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ექსპლუატაციაში შევიდა, „ბიპი“-ს მილსადენების ქსელი საქართველოშიც გაჩნდა. „ბიპი საქართველოს“ საქმიანობის მთავარი სფეროა ნავთობსადენები და გაზსადენები, მათი პროექტირება, მშენებლობა და რემონტი.

6. „სან პეტროლუმი ჯორჯია“ ანუ „გალფი“ – ლიდერი ნავთობკომპანიაა ქართულ ბაზარზე. 2010 წლის მარტიდან ცნობილ საერთაშორისო ბრენდს საქართველოში შპს „სან პეტროლუმ ჯორჯია“ წარმოადგენს. მსოფლიო ბრენდი 1901 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნდა. დღეისთვის პულფ ოილ ინტერნაციონალ ნავთობპროდუქტების დისტრიბუციას 100-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს და ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა მსოფლიო ბაზარზე. „გალფი“ 140 ავტოგასამართი სადგურს აერთიანებს საქართველოს მასშტაბით, კომპანიაში დღეს 1300-ზე მეტი დასაქმებულია და მათი რიცხვი ყოველდღეობდა იზრდება.

7. „სოკარ ჯორჯია ბაზი“ – საქართველო-აზერბაიჯანის უახლოესი პარტნიორია რეგონში, ის აზერბაიჯანს ევროპასთან აკავშირებს. ამგვარი ურთიერთობების ფონზე, გასაკვირი არაა, რომ „სოკარმა“ უდიდესი საინვესტიციო პროექტის განხორციელება სწორედ საქართველოში

წამოიწყო. ამოქმედდა „სოკარის“ შავი ზღვის ტერმინალი ყულეეში, საიდანაც დაუმუშავებელი ნავთობისა და სანავი პროდუქტების დასავლეთში ტრანსპორტირება სორციელდება. საქართველოში წარმატებით მოქმედი გაზის სადისტრიბუციო ქსელის მნიშვნელოვანი წილი სწორედ „სოკარის“ მმართველობაშია.

8. „რომპეტროლ საბარტელო“ – „რომპეტროლ NV“ ერთ-ერთი მსხვილი ნავთობკომპანიაა რუმინეთში. კომპანია 12 ქვეყანაში წარმოდგენილი, მათ შორის, საქართველოშიც. „რომპეტროლ ჯგუფი“ ფლობს 1000-ზე მეტ ავტოგასამართ სადგურს ექვს ქვეყანაში – რუმინეთში, მოლდოვაში, ბულგარეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და საქართველოში. 2007 წელს, ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ეროვნული კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ მიერ, „რომპეტროლ ჯგუფის“ შექმნის შემდგომ, „რომპეტროლ“ ცენტრალურ აზიაში არსებული ბუნებრივ რესურსებსა და ევროპულ ბაზრებს შორის დამაკავშირებელ ენერჯეტიკულ ხიდად გადაიქცა.

9. „ლუკოილი“ – ლია სააქციო საზოგადოება „ლუკოილი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნავთობისა და გაზის ტრანსნაციონალური კომპანიაა. დაარსების დღიდან, კომპანია მუდმივად იზრდება და ფართოვდება. კომპანია მოიცავს რუსეთის ტერიტორიას, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკის, აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. „ლუკოილი ჯორჯია“ სწორედ „ლუკოილის“ შვილობილი კომპანიაა. „ლუკოილის“ პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში 2002-2005 წლებში დაახლოებით 15 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.


10. „ენერგო-პრო ჯორჯია“ – ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მოთამაშეა ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების სფეროში. „ენერგო-პრო“ ჯგუფი, თავის მხრივ, აერთიანებს ელექტროენერჯის გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტებს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში, საქართველოსა და თურქეთში. დღესდღეობით „ენერგო-პრო“ ჯგუფის აქტივების საბაზრო ღირებულება 650 მლნ ევროს აღემატება. ამ ჯგუფის ინტერესის სფეროში შედის ჰიდროენერჯეტიკა, მათ 12 ჰიდროელექტროსადგური აქვთ ჩეხეთის რესპუბლიკაში, 14 – ბულგარეთში, 15 – საქართველოში და 5 – თურქეთში;

სათუნა ჩიგოზია

სიყვარულით გაიხსენას

გალატიონის სულის ბიოგრაფიის სარეზიმი

ამ სათაურს სულგანათლებულ ვახუშტი კოტეტიშვილს დავესხსნეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ქუთაისში, თეთრ ხიდთან, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროს ჩქერებთან, სარაჯიშვილის ქუჩის 47-ე სახლში მცხოვრებ შალიკიანების ოჯახს სტუმრად ქუთაისის საპატიო მოქალაქეები თემურ ძიძიგური, ბენია თხილავე და ალექსანდრე შენგელია ეწვივნენ, რათა გადაეცათ თბილისიდან საგანგებოდ ამ ოჯახისთვის გამოგზავნილი საჩუქარი – ჭეშმარიტად დიდი გალაკტიონოლოგის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და „საბას“ სალიტერატურო პრემიების ლაურეატის, სახელგანთქმული პოეტისა და ჟურნალისტ-გამომცემლის მახსენებ ჯან-მახსენის 860-გვერდიანი ერთომეული „შცნობი“.



გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წიგნად აკინძულ და გალაკტიონისეული გრაფიკით დასურათბატებული ამ კაპიტალურ კრებულს, რომელიც მკითხველისათვის „უცნობის“ მეხუთედ წარმოჩენაა, „გალაკტიონის სულის ბიოგრაფია“ ამჯერად ასეთი წარწერა წარუძღვარა: „ქუთაისი, სარაჯიშვილის 47. სერგო შალიკიანის ოჯახს, დაუფინყარ მშობლიურ ოჯახს – მარადიული მონატრებით“.

ამგვარი გულთბილი წარწერა შემთხვევითი არ არის. შალიკიანების ოჯახი ძირძველი ქუთაისელის – ვახტანგ ჯავახიძის ნაფუძარზე ცხოვრობს. აქედან დადიოდა იგი მისი სახლის მახლობლად, რიონის მოპირდაპირე სანაპიროზე მრავალი დიდი მამულიშვილის აღმზრდელ ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც 1951 წელს ოქროს მედლით დაასრულა. სხვათა შორის აქვე დაიბადა მისი პირველი სტრიქონები სამომავლოდ შესაქმნელი გალაკტიონოლოგისთვის და ეს თავის ყრმობისდროინდელ მეგობრებს ჯერ კიდევ მაშინ გაანთო, როდესაც მათთან ერთად დადიოდა რიონის პირას, თეთრ ხიდთან მდებარე პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა იმ წრეში, რომელსაც მომიდან ახალდაბრუნებული და ფრონტიდან გამოყოფილი ფარაჯაგაუხდელი პოეტი ვასო გვეტაძე ედგა სათავეში. მასპინძლებმა დიდი სიყვარულით გაიხსენეს ვახტანგ ჯავახიძის სიყრმის წლები და ის გულითადი სიყვარული, რომელიც არა მარტო ამ ორი ოჯახის უფროს თაობას, არამედ მათ შთამომავლებსაც უახლოესი ნათესავებით აკავშირებს.

ანა საბანდელიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო თანაუგრძობენ აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს თენგიზ კვიციანს, მამის, დამსახურებული პედაგოგის ჭიჭიკო კვიციანს გარდაცვალების გამო.

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 568 82-09-84..

შპს „ტეოს“ (ს/კ 206033585) 50% წილის მფლობელ პარტნიორს შალვა ხუნტუას მის: ქ. თბილისი, კოტეტიშვილის ქ. 6 ამავე საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორის ილო ხობელიას მის: ქ. თბილისი, ჩ. ჩიქოვანის 4/6/8/10 შეტყობინება შპს „ტეოს“ პარტნიორთა ხელახალი კრების მოწვევის შესახებ შენარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და შპს „ტეოს“ წესდების შესაბამისად, ვინვე შპს „ტეოს“ პარტნიორთა ხელახალ საერთო კრებას, შემდეგი დღის წესრიგით: 1. შპს „ტეოს“ ახალ დირექტორად შოთა ზაზაშვილის (პირ. №01008014922) დანიშვნა; 2. ახალი დირექტორის დანიშვნის შედეგად შპს „ტეოს“ იძულებითი ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტა; 3. საგადასახადო დარიცხვის საფუძველზე საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების განხილვა, ამასთან დაკავშირებით საზოგადოების პარტნიორის შალვა ხუნტუას ქმედებების შეფასება. 4. შპს „ტეოს“ რეორგანიზაციის (შპს „ტერა-2“-ის გამოყოფა) განხორციელება (დაწყება და დასრულება), ამასთან, გამოყოფის შედეგად შექმნილ სანარმოზე შპს „ტეოს“ სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი ი. გაგარინის ქ. 10 (საკ. კოდი 01.10.18.001.002) თანხაბარი წილის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, წინამდებარე შეტყობინებაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, საკითხის განხილვა იმის შესახებ, რომ შპს „ტეოს“ სანარმოს გამოყოფის შედეგად შექმნილი საზოგადოება (შპს „ტერა-2“) თანხაბარწილი აგებეს პასუხს რეორგანიზაციამდე არსებული სანარმოს ნებისმიერ ვალდებულებაზე. შესაბამისად რეორგანიზაციამდე არსებული სანარმოს შპს „ტეოს“ მიერ კრედიტორების დამკაყოფილების უნარი არ მცირდება. 5. შპს „ტეოს“ გამოყოფის შედეგად შექმნილ შპს-ში, შპს „ტეოს“ პარტნიორების: ილო ხობელიასა და შალვა ხუნტუას წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრა, ასევე შპს „ტეოს“ ახალი წილობრივი გადანაწილება, რომლის შესაბამისად: შპს „ტერა-2“ 100% პარტნიორი გახდება ილო ხობელია, ხოლო შპს „ტეოს“ 100% პარტნიორის სტატუსი ექნება შალვა ხუნტუას. 6. გამოყოფის შედეგად შექმნილ სანარმოში დირექტორის დანიშვნა, კერძოდ: შპს „ტერა-2“-ის დირექტორად დანიშნოს ილო ხობელია (რუსეთის მოქალაქე, პას. № 71 7836215). 7. გამოყოფის შედეგად შექმნილი სანარმოს წესდების დამტკიცება. დღის წესრიგთან დაკავშირებით, დამატებითა შესატანად გეძლევათ 3 (სამი) დღის ვადა წინამდებარე შეტყობინების მიღებიდან. გაცნობებით, რომ პარტნიორთა ხელახალი საერთო კრება ჩატარდება 2014 წლის 09 ნოემბერს 12 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 26, კორპ. 2, ბინა 2ა.

ილო ხობელია 29.10.2014 წ.

რვენი კარაბაღინი

გულგანვიწყობა, პრობლემები სიტყვების შერჩევაში, სიტუაციები ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტაში - სიბერის ტრადიციულ ატრიბუტად ითვლება. ამ დროს ეს სიმპტომები შეიძლება დემენციის (გონებასუსტობის) ნიშნები იყოს, რაც ბევრ ადამიანს ანუხებს დღეს მსოფლიოში.

ვინ აღმოჩნდება რისკის ჯგუფში, ამის წინასწარ ამოცნობა რთულია: დაავადებას თავისი კანონები აქვს. მაგრამ ასაკთან ერთად დასუსტებული მეხსიერება შეიძლება გავამყაროთ. ამაში ჩვენ დაგვეხმარება:

დაავადების კვირა

ოპტიმალური ვარიანტი - დავიცვათ ხმელთაშუაზღვის დიეტა ალკოჰოლის ზომიერი მიღებით (ერთი ბოკალი წითელი ღვინო სა-

ოქსიდანტი და თავიდან გვაცილებს ჩვენი ტვინის დეგენერატიული პროცესების განვითარებას და ამცირებს სისხლძარღვთა დემენციის განვითარების რისკს

უარი მოწვევაზე

საიდუმლოება როდია, რომ მოწვევა უკიდურესად ნეგატიურად მოქმედებს სისხლძარღვთა სისტემაზე, მათ შორის, თავის ტვინის სისხლძარღვებზეც, რაც არსებითად ზრდის სისხლძარღვთა დემენციის განვითარების ალბათობას.

ფიზიკური აქტივობა

კარგი ფიზიკური ფორმა - ბევრი დაავადებისგან, მათ შორის დემენციისგან, დაცვაა. კანადელი მეცნიერების მონაცემებით,

როგორ შევარჩიოთ დასუსტებული მეხსიერება

დიღზე, ხორცისა და ხორცის პროდუქტების მცირე ულუფა, უმეტესი ბოსტნეულით, ხილით, კაკლითა და თევზით. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ამ რეჟიმის მიმდევრებს ნაკლებად აქვთ გაზრდილი ქოლესტერინი სისხლში, რომლის დროსაც დემენციის განვითარების რისკი იზრდება 66 პროცენტით.


ხვათა

არსებული აზრის საპირისპიროდ, კოფეინი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გამოყენებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებად ითვლება, დადებითად მოქმედებს ტვინის ფუნქციურ შესაძლებლობებზე. იგი არის ანტი-

იმათ, ვინც კვირაში ფეხით დაახლოებით სულ ცოტა ათ კილომეტრს სეირნობს, მოხუცებულობაში გონებასუსტობის განვითარების რისკი დაახლოებით ორჯერ უმცირდება. სხვა გამოკვლევის თანახმად, 60-დან 75 წლამდე ასაკის ხანდაზმულმა ადამიანებმა, რომლებიც სამჯერ კვირაში სწრაფი ტემპით დადიოდნენ 45 წუთის განმავლობაში, გაიუმჯობესეს არა მხოლოდ ფიზიკური ფორმა, არამედ ინტელექტუალური უნარიც.

ინტელექტუალური ამოცანების ამოხსნა

მაშინაც კი, თუ ადამიანმა თავის დროზე არ აირჩია პროფესია, რომელიც დაკავშირებული არაა ინტელექტუალურ შრომასთან, და არ მიიღო განათლება უმაღლეს სასწავლებელში, რომლის ყოველი წელიც 10 პროცენტით ამცირებს დემენციის განვითარების ალბათობას, მას აქვს შანსი, შეცვალოს სიტუაცია. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ განათლების დაბალი დონე შეიძლება იყოს კომპენსირებული ინტელექტუალური ვარჯიშების - კითხვის, ლექციებზე დასწრების, კროსვორდების, თავსატეხების ამოხსნის, მათ შორის, კომპიუტერული პროგრამების ან ვიდეოთამაშების სახით (დისკები მარტივი მათემატიკური ამოცანებით, ტესტებით მეხსიერებისათვის და სიტყვიერი ამოცანებით) - რეგულარული შესრულებით.



ურთიერთობის წრის გაფართოება

ინტელექტის ნორმალური დონის შენარჩუნებაზე დადებით გავლენას ახდენს ურთიერთობა. სპეციალისტები ამტკიცებენ: ხანდაზმული ადამიანისთვის რაც უფრო ფართოა ურთიერთობის წრე, მით ნაკლები აქვს მას კოგნიტიური მოშლილობის გაჩენის რისკი.

ცხოვრება ძორწინებაში

ინტელექტუალურ უნარზე ნაყოფიერად აისახება ქორწინებაში ცხოვრებაც. სკანდინავიელი მეცნიერების კვლევების თანახმად, იმათ, რომლებიც დაქვრივდნენ საშუალო ასაკში და დარჩნენ მარტო მოხუცებულობაში, დემენციის გაჩენის რისკი 7-ჯერ იზრდება.

მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ

განვითარებულ ქვეყნებში მოხუცებულობის გონებასუსტობით დაავადებულთა მოვლისათვის საფინანსო დატვირთვის დაახლოებით 50 პროცენტი ოჯახის წევრებზე მოდის, 35 პროცენტი - სოციალური დაცვის სამსახურებზე და 15 პროცენტი - ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე. ჩვენთან ძირითადი დატვირთვა ოჯახის წევრების კისერზეა.

სხვათა შორის

დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 37 მილიონ კაცს ანუხებს დემენცია. პლანეტის მოსახლეობის გლობალურ დაბერებასთან დაკავშირებით მეცნიერები გვინინასწარმეტყველებენ მოხუცებულობის გონებასუსტობით დაავადებათა ორმაგად გაზრდას ყოველ 20 წელიწადში. ელოდებიან, რომ 2050 წლისათვის მათი რაოდენობა 100 მილიონ კაცს გადააჭარბებს.

გაურნალი წინადავი

ფეხების ტკივილი გაწუხებით?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ. ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უეზარო საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა



იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჭრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნის წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაქენად ღარიბები 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუპონი.

ცინცხალი ანეკდოტები

ბინდამ ცოლი ააკვივლოთ, ფეხების ბაკუნი და ხელების უაზროდ ქნევა უცბად დააწყებინოთ? თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, უბრალოდ, ყურში ჩასჩურჩულეთ: - ძვირფასო, კისერში რაღაც ჩაგვიძვრა!

ძალიწვილი გამოსაშვები სადამოდან შინ გამთენიისას ბრუნდება: - მამიკო, გეხვეწები, არ მეჩხუბო, ყველაფერს ჩემით მოგიყვებ: ყველა გოგო შამპანურსა და არაყს სვამდა, მე პირი არ დამიკარებია, უბრალოდ ბევრი ვიცეკვე, ვიმხიარულე, განთიადს შევხვდი... ეს იყო და ეს! ხომ ხედავ, რა ჭკვიანი გოგო ვარ?! ეგრე რატომ მიყურებ?

- კაბა რა უყავი, ჭკუის კოლოფო?! - სასიხვარულო ურთიერთობის შემდეგ ქალვაჟი ლოგინში წვანან: - იცი, ძვირფასო, მსოფლიოში უბედნიერესი ქალი უნდა გაგხადო! - გულიანად ამბობს ჭაბუკი. ქალიშვილი მკერდზე ეკრობა და აკანკალებული ხმით ეუბნება: - იცი, როგორ მომენატრები, იცი?!



მძინე ეუბნება გახდომის მსურველ ძალიან მსუქან პაციენტს: - შეგიძლიათ, მიირთვათ რაც მოგესურვებთ! ეს კი იმ საჭმელების სიაა, რომლებიც ყოველდღე უნდა მოგიწოდეთ!

მღიპანი ქალი ეუბნება უფროსს: - შეფ, თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: ერთი კარგი, მეორე - ცუდი. - მოდი, ჯერ კარგი ამბით გამახარე! - შეფ, თქვენ უშვილობა არა გჭირთ!

- ო, მისო, ჩემო კარგო, როგორც იქნა მოხვედი. მოდი, დაგხსნე და ჩვენ საყვარელ საქმიანობას შევუდგეთ. - ეგ რომელია, პა? - რომელია და იმის მოლოდინი, მისო როდის წაეთრევა სახლში!

დედა ეუბნება ქალიშვილს: - შეილო, დიდი ხანია, დროა, შენთვის უფლისწული მონახო! - რად მინდა უფლისწული დედა? ტახტზე წამოგორებული ოჯახის უფროსი ზანტად ეხმაურება ცოლ-შვილის საუბარს: - იმიტომ, რომ ასეთი ჯაგლაგის უწყვილოდ სიარული აღარ ივარგებს!

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84.

სათრეველა

რა ახარხარებთ?

ავციობით რომ ქვეყანას აქცევს „რუსთავი-ორი“ - სიცრუის მაცნე, როდესაც ცდილობს, წაღმართ გზას ავცდეთ, - რა უხარხარებთ შოუმენ კაცებს, რად ახსენდებთ „ცოცხები“ ნაცებს? პასუხს ვინ გაგვცემს?

ალექსანდრე შენგელია

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. მ. ახვლედიანის (ყოფილი პერმონსკაინის) ქ. 19. ინფორმაცია: შპს „თანადგომა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3853. მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ მოჰუბია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაიძე 514 33-33-24.